# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 211 (5812)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


# 2 ნოემბერი — ფეხზე დამდგარი სრულიად საქართველო



## ბოლო ინფორმაცია

### გუშინ, საღამოს 20 საათზე

გუშინ, საღამოს 7 საათზე ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელი, როგორც იქნა, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა და ერთხელ კიდევ გააცნო რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ასოცათასიანი სახალხო კრების მოთხოვნები. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნინო ბურჯანაძემ, ცხადია, მთელი გუშინდელი დღის მანძილზე კახეთში სტუმრებთან ერთად მოსეირნე მიხეილ სააკაშვილის უშუალო კარნახით, უარი განაცხადა სახალხო კრების 4 მოთხოვნაზე იმ საბაბით, რომ პრეზიდენტი ამჟამად თითქოს მზად არ არის პასუხის გასაცემად. ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებით, რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ასოცათასიანი სახალხო კრება არ დაიშლება საბოლოო გამარჯვებამდე.

## ქართველმა ხალხმა დაინახა...

2 ნოემბერს პარლამენტის შენობასთან დილიდან დაიწყო ხალხმა შეკრება. რეგიონებიდან ჩამოსულ ადამიანებს თბილისელებიც შეუერთდნენ. პოლიციამ ავტოტრანსპორტის მოძრაობა გამზირზე და ყველა მიმდებარე ქუჩაზე გადაკეტა. 14 საათისთვის აქციის მონაწილეთა რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა.

მიტინგი საქართველოს პარლამენტის წინ „მრავალჟამიერით" დაიწყო. გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა შეკრებილებს საპროტესტო მოძრაობის სიმბოლოები — თეთრი ლენტები დაურიგეს.

აქციას შეუერთდნენ საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების" წარმომადგენლები. მათმა ლიდერმა გოგი თოფაძემ განაცხადა: „ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ამ ხელისუფლებამ რეალურად დამოუკიდებელი არჩევნები ჩაატაროს; იფიქროს საქართველოზე. არ შეიძლება საქართველოს ასეთი გლობალური გასხვისება".

ქართველმა ხალხმა დაინახა, რომ ხელისუფლება მართვადია. მათი ასეთი ცინიზმი არ შეიძლება ქართველმა კაცმა მოითმინოსო.

„მრეწველებისგან" განსხვავებით, აქციაში არ მონაწილეობენ „ახალი მემარჯვენეები".

იხ. 2 გვ.

# ადუღებული დრო

● ჩვენი ძალა დიდია და თუ ხალხმა ერთხმად დაიგრიალა, გამარჯვებას შევძლებთ. შეშინებულ მთავრობას არასდროს გაუმარჯვია



◎ გუშინ

# ვარდები ნისიად

**უკვე 1 ნოემბრის ღამეს ოპოზიციამ იხილა მისთვისაც გამაოგნებელი სურათი, ხოლო ხელისუფლებამ, თვალნათლივ და ცხადად, თავისი 4-წლიანი „მოღვაწეობის“ შედეგი. ეს იყო მართლაც წარმოუდგენელი მასშტაბის მიტინგი, რომელმაც მთელი სიცხადით გვიჩვენა საქართველოს დღევანდელი, სავალალო მდგომარეობა.**

ყველა გზა თბილისისკენ მიდის, — ასეთი იყო იმ ღამის პათოსი და თუკი 2003 წლის ნოემბერში დედაქალაქს ერთი მხრიდან — წალენჯიხიდან დაძრული კოლონა მოადგა დაფითა და ნაღარით, 4 წლის შემდეგ, ანუ გუშინწინ, საქართველოს ყველა კუთხიდან დაიძრა მანქანების კოლონა თბილისისკენ, ოღონდ ამჯერად მოპროტესტე ხალხს, თუ ოპოზიციის რამდენიმე ლიდერს არ ჩავთვლით, დიდი ზეიმურობისა არაფერი ეტყობოდა — ათასობით გაბრაზებული ადამიანი დედაქალაქში იმ გაუსაძლისმა ყოფამ ჩამოიყვანა, რომელიც ლანჩხუთში, გურჯაანში თუ დუშეთში ერთნაირია.

გარდა ამისა, არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი: გუშინ მიტინგზე მოსულ თბილისელთა შორის ისეთებიც საკმაოდ იყვნენ, რომლებსაც მატერიალურად არ უჭირთ (ალბათ, ასეთები რაიონებიდან ჩამოსულთა შორისაც იქნებოდნენ). მთავარი ისაა, რომ ხალხს ღირსება შეულახა ამ ხელისუფლებაში მყოფმა თინეიჯერებმა თუ უფროსი ასაკის ადამიანებმა, რომელთაც სიტყვა „ღირსება“ წარსულის გადმონაშთი ჰგონიათ. ღირსება კი საქართველოში ყოველთვის ყოველგვარ მატერიალურ სიმდიდრეზე მაღლა იდგა და მის შელახვას ხალხი ადრე თუ ცოტა გვიან, არ გააპატიებს..

ამ მართლაც შთამბეჭდავი, დაუვიწყარი სანახაობის მიღმა (დღისით მანქანების შემოსვლა თბილისში ნაკლებ ეფექტური იქნებოდა) საშინელი რამ იმალებაო, ვერ ვიტყვი, ცხადად მოჩანს: დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება ქვეყნის მოსახლეობის მიმართ, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება გამოიხატოს: ჩვენთვის, ანუ ხელისუფლებისთვის, თქვენი, ანუ ხალხის ფასი ამ ქვეყანაზე გროშ-კაპიკია ჩვენთვის მოცემული საარჩევნო ხმების გარდა.

„არაჩვეულებრივი გამოფენის“ მთავარი გმირისა არ იყოს, რომელმაც ღამით, სასაფლაოზე თავისი საცოდაობადქცეული შემოქმედება იხილა მიცვალებულთა ბიუსტების სახით, დღევანდელი მმართველობისთვის თვალნათლივ გამოჩნდა უამრავი, ბიუსტებისგან განსხვავებით ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანი (გამოდის, ოთხწლიანი მუშაობა ტყუილად ჩაუყრიათ წყალშიძ, მეტისმეტად უკმაყოფილო თუ განრისხებული მათი 4-წლიანი „შემოქმედებით“.

იმის თქმა მინდა, რომ ამ ხალხს, რა თქმა უნდა, ჩამოჰყვნენ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები მათი რეგიონალური თუ რაიონული განშტოებებიდან, მაგრამ ამ გრანდიოზული თავყრილობის მთავარი „შემოქმედი“ თვითონ ხელისუფლებაა თავისი პოლიტიკით და მოქმედებით. ეს რომ არა, ოპოზიცია შეუდარებლად მეჩხერ რიგებს დაითვლიდა თბილისისკენ მომავალ გზაზე და თვით თბილისშიც.

იმასაც დიდი ოსტატობა უნდა, რომ სულ რაღაც ოთხ წელიწადში 4 წლის წინანდელი დიდი მხარდაჭერის შემდეგ ასე შეაძულო თავი მოსახლეობის ყველა ფენას თუ ცალკე სოციალურ ჯგუფს. მხარდამჭერები, ცხადია, ამ ხელისუფლებასაც ჰყავს (რომელთა ნამდვილი რაოდენობა კაციშვილმა არ იცის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენში არჩევნები ფიქციააძ, მაგრამ ის, რომ ამ გაჭირვებაში ამდენი გამწარებული ადამიანი გამოეშურა თბილისს და ამდენი დედაქალაქში დაემატა მათ, ბევრ რამეზე მეტყველებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ზიზღიანი, ცინიკური დამოკიდებულება საკუთარი ხალხისადმი, თუკი ეს სისხლ-ხორცში გაქვს გამჯდარი და ამას ყოველდღიურობაში ვერც მალავ, მოკლე ჭკუის ნაყოფია და დიდი წინდაუხედაობა, მით უმეტეს პოლიტიკოსისთვის. ხოლო ყალბ, სამიკროფონო პათეტიკას, სწორედ მოსახლეობისათვის ვიღწვითო, არავინ იჯერებს და თეთრი ძაფიც აშკარა ჩანს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ოპოზიციამ, რომელიც 28 სექტემბრის ხალხმრავლობით დატკბა, სულსწრაფობა არ გამოიჩინა და აშკარად აჯობა მიტინგების ძველ ოსტატს ირაკლი წერეთელს, რომელიც მოითხოვდა პური ჩაეკრათ თონეში, ვიდრე ცხელი იყო, ანუ მომენტით ესარგებლათ და აქციისათვის პერმანენტული ხასიათი მიენიჭებინათ. დათქმული 2 ნოემბერი ხელისუფლებისთვის მთიდან დაგორებული გუნდა გამოდგა, რომელიც ბოლოს ზვავად გადაიქცა. ამ შემთხვევაში ოპოზიციამ და თბილისში შეკრებილმა ხალხმა, რომლის უმეტესი ნაწილი, კიდევ ვიმეორებ, ამ ოპოზიციის ელექტორატი არ არის, ურთიერთსასარგებლო ქმედებები განახორციელეს. დანაწევრებულ ხალხს ოპოზიციის წყალობით საშუალება მიეცა ერთად და ერთხმად გამოეთქვა თავისი პროტესტი, ხოლო ოპოზიციას შეექმნა მშვენიერი ფონი როგორც უკვე გაწეული მუშაობისთვის (რეგიონალური და რაიონული შეხვედრები, უცხოური ვოიაჟები და ა. შ.ძ, ასევე სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით. მოკლედ, ასე თანდათან 2 ნოემბერი წინასწარ იქცა ისეთ მოვლენად, რომ თვით გავლენიანი უცხოელი პოლიტიკოსების ყურადღება მიიპყრო, პირველ რიგში, ამერიკელებისა. ვფიქრობ, კონდოლიზა რაისის მოადგილე დენიელ ფრიდის თბილისში ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ ასეთ დაძაბულ დროს ხელისუფლებამ რაიმე სერიოზული შეცდომა არ დაუშვას, ანუ დიდი სისულელე არ ჩაიდინოს. მანქანების ნაწილის დარბევა და ყველაზე სამარცხვინო — გზაზე რევოლუციური ვარდების ეკლების, ანუ ლურსმნების დაყრა (ამ მეთოდს, საერთოდ, ომში იყენებენ მოწინააღმდეგის კოლონის შესაჩერებლადძ ამერიკელ მაღალჩინოსანს ნაკლებად აინტერესებს. ხელისუფლებამ კი, ჯერჯერობით, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა მომიტინგეთა წინააღმდეგ, გარდა მძღოლების დაკავებისა, ზემოხსენებული ხელკეტებისა და მსხვილი ლურსმნების, თუმცა გარეგნულად იხტიბარს არ იტეხს.

იხ. 12 გვ.

◎ მიტინგის ქრონიკა

# ქართველმა ხალხმა დაინახა...

(პირველი გვერდიდან)

აქციის მონაწილეებს 4 მოთხოვნა ჰქონდათ: არჩევნების კონსტიტუციურ ვადებში ჩატარება; პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი ცესკო; ცვლილებები საარჩევნო კოდექსში; პოლიტპატიმრების განთავისუფლება.

გამომსვლელებმა — გაერთიანებული ოპოზიციისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: გია თორთლაძემ, ლევან გაჩეჩილაძემ, სალომე ზურაბიშვილმა, შალვა ნათელაშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, ზვიად ძიძიგურმა, კახა შარტავამ, კობა დავითაშვილმა და სხვებმა არაერთხელ გაიმეორეს, რომ მათ აღარ უნდათ ამდენ ტყუილში ცხოვრება, რომ პარლამენტის შენობის წინ ისინი ხელისუფლების სისასტიკემ, უგუნურობამ და არაკაცობამ მიიყვანა, ძალადობას და უსამართლობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.



მიტინგზე გაისმა ლოზუნგიც — „საქართველო პრეზიდენტის გარეშე!“ ითქვა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ერთობა, ლაღობს და სილნაღში გაქცეული მწვადს მიირთმევს, შეკრებილებმა პრეზიდენტს მიმართეს — „მიშა, თუ ნამუსი კიდევ შეგრჩენია, მოდი, დაგველაპარაკე“, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ მას ხევისბერი გოჩას სიტყვები შეახსენა — ლაღობით არავის მოუხდია ქვეყნის წინაშე ვალიო. მანვე ხალხს შეუძახა, ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ და ისეთ სახელმწიფოს ავაშენებთ, სადაც უმთავრესი პრიორიტეტი ადამიანიაო. ოპოზიციის ლიდერებმა ამ შეკრებას უკვე ქართველი ხალხის გამარჯვება უწოდეს — 4-წლიანი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნაციონალური მოძრაობაო, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

შეკრებილნი აღშფოთდნენ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შენობაზე ხელისუფლების მიერ გამოკიდებულმა კარიკატურამ „ყარაბას-ბარაბოსი და ბადრიონეტები“. ოპოზიციამ ეს კარიკატურა ჩამოხსნა, თუმცა შენობაზე იგი განმეორებით დაჰკიდეს.

სამწუხაროდ, რუსთაველის პროსპექტი რადიოფიცირებული არ იყო. ამბობენ, რომ ხელისუფლებამ საგანგებოდ მოშალა გახმოვანების სისტემა და შემდეგ ოპოზიციამ უკვე ველარ მოახერხა მისი აღდგენა.

შეკრებილი ადამიანები ამბობდნენ, რომ ისინი ქვეყნის სიყვარულმა გააერთიანა და არა ხელისუფლების სიძულვილმა. სწორედ სიყვარულით უნდა ავირჩიოთ სასურველი ხელისუფლებაო.

დაახლოებით 18 საათზე აქციას ბადრი პატარკაციშვილი შეუერთდა, შეკრებილნი ოვაციებით შეეგებნენ მას, „ბადრი, ბადრის“ სკანდირებით. ბატონმა ბადრიმ შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა ხალხს.

აქციის ორგანიზატორებმა მოთხოვნები პარლამენტის თავმჯდომარეს შეუგზავნეს და 18 საათამდე მისცეს ვადა საპასუხოდ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ სარფიდან წითელ ხიდამდე დაძრული ქვეყანა

# „ჩვენ ვაუჩერებსა და ფქვილზე არ ვიყიდებით!“

**ხალხმა რეგიონებიდან თბილისში ჩამოსვლა უკვე 1 ნოემბერს დაიწყო. ავტომანქანების გრძელი კოლონები თითქმის ყველა რეგიონიდან დაიძრა. ზოგიერთ მათგანს წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია, თუმცა რიგ რეგიონებში, განსაკუთრებით კი აჭარას და ზუგდიდში საპატრულო პოლიციამ აშკარა წინააღმდეგობა გაუწია. მათ წვრილ-წვრილი პროვოკაციებით სცადეს წამომსვლელთა შეჩერება, თუმცა უკიდურესად აღშფოთებულ ხალხს რომ ვეღარაფერი შეაჩერებდა, აშკარა გახდა. 2 ნოემბერს პარლამენტთან მოსვლა ყველა რეგიონმა შეძლო.**

„ჩვენ ვაუჩერებსა და ფქვილზე არ ვიყიდებით“, „ვაპროტესტებთ განათლების კერების გაყიდვას და საქართველოს მომავლის დასამარებას“, „დავიბრუნოთ მეცნიერებათა აკადემია“, „დავაფასოთ პედაგოგების შრომა და ღვაწლი“ — ეს ის ლოზუნგებია, რომლითაც პარლამენტთან, 2 ნოემბერს დილიდან იკრიბებოდა საქართველო.



გავესაუბრეთ სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულ მოსახლეობას:

**გორი:** გზაში უმნიშვნელო წინააღმდეგობა შეგვხვდა. გზები იგოეთთან და ნატახტართან გადაგვიკეტეს, თუმცა ხელისუფლება იმდენად დამფრთხალია ხალხისგან, რომ იძულებულნი გახდნენ გამოვეტარებინეთ. ჩვენი ძალა დიდია და თუ ხალხმა ერთხმად დაიგრიალა, გამარჯვებას შევძლებთ. შეშინებულ მთავრობას არასდროს გაუმარჯვია.

იხ. 15 გვ.

◎ ეს არის ნება ხალხის!..

# გულისწადილმა ასაკი არ იცის...

**ამ ხელისუფლების თავგასულობამ, ქვეყანაში არსებულმა აუტანელმა სოციალურმა მდგომარეობამ ყველა ასაკისა და ფენის ადამიანი გაიყვანა გუშინ მრავალათასიან მიტინგზე...** მოდიან და მოდიან ჩვენი რედაქციის წინ გუნდ-გუნდად, ცალ-ცალკე.



ეს „ჩაპადრუჩკებული“ მოხუცები ვინ არიან, რამ გამოიყვანა გარეთ? ვაჩერებთ, ვეცნობით ერთმანეთს, მერე კი რედაქციასთან სურათსაც ვუღებთ მხცოვან ცოლ-ქმარს — 93 წლის გრიგოლ გობეჩიას და 90 წლის ნინო ბირკაია-გობეჩიას.

ავადმყოფობას არ ვუჩივით და, რა გაგვაჩერებდა შინ, გვეუბნება ქალბატონი ნინო, — უნდა მივიდეთ მიტინგზე, უნდა მივემატოთ ხალხს, რომელსაც უკვე ყელში ამოუვიდა ეს ხელისუფლებაო, რა არ გამოვიარეთ, რა ვაი-უშველებელს არ მოვესწარით მე და ჩემი მეუღლე, მაგრამ ასეთი რამ, ასეთი აგდებული დამოკიდებულება ხელისუფლებისა საკუთარი ხალხისადმი, არ გვინახავსო... მოხუცს ცრემლით ევსება თვალი, ბატონი გრიგოლი ამშვიდებს, და პარლამენტის შენობისკენ მიუყვებიან გზას ამ ხნის ადამიანები...

... რათა მომავალმა არ თქვას ხვალ, სად იყო ჩემი წინაპარი, ქვეყანას რომ აქცევდა სააკაშვილის ხელისუფლებაო.

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათზე: ცოლ-ქმარი გრიგოლ და ნინო გობეჩიები მიტინგისკენ გზად ჩვენს რედაქციაში.**
**მარინე კანდელაკის ფოტო.**

# ადუღებული დრო

● რა დონის უტიფარი უნდა იყო, რომ ათეულ ათასობით ადამიანის პროტესტს, პრაქტიკულ მოთხოვნებს, გაფრთხილებას პაროდია უწოდო და საკუთარი პერსონა მართლაც უვიცი ჩინოვნიკის პაროდიად წარმოაჩინო!



№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

SOS!

# დიახ, ბატონო გიგი, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!

– სად გაგონილა საქართველოს მსგავს უძველესი კულტურის მქონე ქვეყანას უმწიფარი ბიჭბუჭების გუნდი მართავდეს! – აღმოხდა ამას წინათ ერთ ქუთაისელ ქალბატონს, რომელიც ტელეკამერების წინ სულაც არ ცდილობდა საკუთარი ვინაობის დაფარვას.

– სამწუხაროდ, ზნეობა დაჩაგრა უზნეობამ, კაცობა – არაკაცობამ, კეთილი სიტყვა – ცინიზმმა და უზრდელობამ, – თქვა აბაშის ცენტრში მდგარმა ჩვენმა პოპულარულმა მსახიობმა, საქართველოს სახალხო არტისტმა გურამ ფირცხალავამ.

– ხელისუფლებას, რომელმაც ოთხი წლის მმართველობის პერიოდში მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა ქართველთა ეროვნულ თვითმყოფადობას და სახელმწიფოებრივ არსებობას; მოშალა და გაანადგურა სასკოლო და უმაღლესი განათლება, ლახვარი ჩასცა დედაუნივერსიტეტს და დაანგრია მეცნიერებათა აკადემია; უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე მიიყვანა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი და ქუჩაში გამოყარა ათეულ ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი, პრესის, მასმედიის სახლის ბინადარნი, მწერლები, დევნილები; უმოწყალოდ ყიდის საქართველოს მიწა-წყალს, უფლება არა აქვს ხალხის ხელისუფლებად იწოდებოდეს, – ამბობს „ქართული დასის“ ერთ-ერთი თავკაცი, პროფესორი თემურ ნანეიშვილი.

**ჩარეცხილები, ერთუჯრედიანები, უზადრუკები, მოღალატუკები – საქვეყნოდ ლანძღავს ოპოზიციური აზრის მქონე ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, ლამის მთელ ქართველ ხალხს ვარდების ხელისუფლების უკვე ჭინჭრებში ჩა-ვარდნილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.**

**ექვგარეშეა, ხალხი უმთავრესად პრეზიდენტის და მისი უმწიფარ-უტიფარი გარემოცვის არაადეკვატურმა მოქმედებამ (და არა მხოლოდ შეურაცხმყოფელმა გამოთქმებმაძ გაალიზიანა.**

ან კი როგორ არ გაღიზიანდები, როცა პრეზიდენტის ერთ-ერთი **დასტურა – კვერისდამკვრელი**, „კმარას“ რიგებში სოროსის ფულებით გაზრდილი,



დღეს ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე – დედაქალაქის მერად აღზევებული „პოლიტიკოსი“ გიგი უგულავა, ორი ნოემბრის საერთოსახალხო მოძრაობას, საერთოსახალხო აქციას, ასიათასიან მიტინგს **2003 წლის 23 ნოემბრის უნიჭო პაროდიას** უწოდებს და ხალხს ცინიკურად „მოძღვრავს“: ნუ მიხვალთ აქციაზე, მაინც არაფერი გამოგივათო!

თბილისის მერი განსაკუთრებით განარისხა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა, რომელმაც თურმე ვერ იყიდა ქართული კულტურა, ქართული სპორტი, სრულიად საქართველო და ახლა დიდ პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, ოპოზიციაც გულუხვად დააფინანსა და... რუსეთის შეკვეთით ქვეყნის დესტაბილიზაციასაც ცდილობს!

ჩვენმა მკითხველმა და ტელემაყურებელმა იცის, თუ რა აბდაუბდა პასუხი გასცა გიგი უგულავამ ნიჭიერ პოეტს რატი ამაღლობელს, როგორ გააოცა და გააოგნა ფსიქოლოგი და ცნობილი ექსპერტი რამაზ საყვარელიძე...

სამწუხაროა ფრიად, მაგრამ საქართველოს „არნახული აღმშენებლობის“(!ძ ერთ-ერთ თანაავტორს პრინციპულად უნდა განვუმარტოთ, რომ თავისი ულოგიკო მსჯელობით მან კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ქართველ ხალხს, თითოეულ თბილისელს, რომლებიც გუშინ ადამიანთა უფლებების საყოველთაო გათელვის, სასამართლო სისტემის მოშლის, ძალადობის, გაუკითხაობის, ქაოსის, შიშის დანერგვის, ეროვნული ღირებულებების გაუპატიურების და სხვა ათასი სისაძაგლის გამო გამოვიდა ქუჩაში და არა ბადრი პატარკაციშვილის „ანტიქართული მოღვაწეობის„ განსასჯელად.

**რა დონის უტიფარი უნდა იყო, რომ ათეულ ათასობით ადამიანის პროტესტს, პრაქტიკულ მოთხოვნებს, გაფრთხილებას პაროდია უწოდო და საკუთარი პერსონა მართლაც უვიცი ჩინოვნიკის პაროდიად წარმოაჩინო!**

– მე შემაძრწუნა გიგი უგულავას პასუხებმა. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არაფრის მართვა არ იცის, – თქვა რამაზ საყვარელიძემ.

– ქვეყანაში არავითარი აღმშენებლობა არ არის. ჩავარდა სასამართლოს და განათლების რეფორმები, ხალხი მშიერია... დღევანდელი სიტუაცია ზუსტად იმას ჰგავს, გალაკტიონი რომ ბრძანებს: ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის! – თქვა ჩვენმა სახალხო არტისტმა გოგი ქავთარაძემ.

**დიახ, ბატონო გიგი, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!**

**გადაეცით ეს ანბანური ჭეშმარიტება თქვენს პრეზიდენტს, რადგანაც ის ხალხს არ უსმენს და კომპრომისული დიალოგის სანაცვლოდ ქუჩის ბიჭივით ილანძღება...**

**დარაზმეთ გიგა ბოკერია, დათო კირკიტაძე, რატი სამყურაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, მაია ნადირაძის თავქალობით და რაიმე შეაგნებინეთ პრეზიდენტს!**

**ეგების ახლა მაინც ირწმუნოთ ქართველი ხალხის ძალა.**

**სპარტაკ ქობულია**

აზრი

ედუარდ შევარდნაძე:

# კომპრომისი ყველა შემთხვევაში უნდა მოიძებნოს, ერთადერთი, რისი დაშვებაც შეუძლებელია, ეს არის სისხლისღვრა

*საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და ოპოზიციის მიტინგთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ესაუბრა*

**– ბატონო ედუარდ, ოპოზიციის მოთხოვნებთან დაკავშირებით ხელისუფლებამ თავისი პოზიცია დაადასტურა, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს. თქვენ რას ურჩევდით ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას?**

–კომპრომისი ყველა შემთხვევაში უნდა მოიძებნოს. ერთადერთი რისი დაშვებაც შეუძლებელია და უნდა გამოირიცხოს, ეს არის სისხლის დაღვრა. თუ სისხლი დაიღვარა, მაშინ საქართველოში უბედურება დატრიალდება, შეიძლება სამოქალაქო ომის საფრთხეც კი გაჩნდეს. ამიტომ, ამ შემთხვევაში, მთავრობას მეტი მოთმინება და მოქნილობა მართებს.

ვერ გეტყვით, რას ფიქრობს და რას აპირებს ხელისუფლება, არავისთან კონტაქტი არ მაქვს, მაგრამ ბევრი რამე მთავრობაზეა დამოკიდებული. მე როცა გადავდექი ორი წლის საპრეზიდენტო ვადა მქონდა დარჩენილი, შემეძლო ძალა მეხმარა, მაგრამ ამაზე არ წავედი, სისხლი არ დავღვარე და ვადამდე ადრე გადავდექი.



**– რას ურჩევდით ოპოზიციას?**

–ოპოზიციას რჩევას ვერ მივცემ. თუ ბევრი ხალხი შეიკრიბება, ოპოზიციის მოთხოვნები უფრო რადიკალური იქნება, მაგრამ კომპრომისისკენ გზები ოპოზიციამაც უნდა ეძებოს. რა იქნება კომპრომისი? ეს შეიძლება იყოს ვადამდელი არჩევნები, შეიძლება იყოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა, შეიძლება იყოს საპარლამენტო რესპუბლიკა. არც ერთი საკითხი მოულოდნელი არ არის.

**– უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს 1991-1992 წლებს ადარებენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, შესაძლოა მოვლენები ამ სცენარით განვითარდეს?**

– არაფრის გამორიცხვა შეიძლება. მაშინ სხვა დრო იყო და ეხლა სხვა დროა, მაშინ სხვა პრეზიდენტი იყო და ეხლა სხვა პრეზიდენტია, მაშინაც ბევრი შეცდომა დაუშვეს პრეზიდენტმაც და ოპოზიციამაც. მაშინ ყველაფერი იმან განაპირობა, რომ პრეზიდენტს განუდგა „მხედრიონი“, გვარდია და პრაქტიკულად მთელი ძალა, რომელსაც ის ეყრდნობოდა.

**– თბილისში მიმდინარე მოვლენებს თვალს ადევნებთ?**

– ვადევნებ, არავისთან კავშირი არა მაქვს, მაგრამ ტელევიზორი ჩართული მაქვს და შეძლებისდაგვარად ყველაფერს თვალს ვადევნებ.

რას ფიქრობს ხალხი

# „საქართველო პრეზიდენტს საკუთარი დუქანი ხომ არ ჰგონია?“

***2 ნოემბერს რუსთაველზე კიდევ ერთხელ გაისმა ომახიანი სიმღერის ხმა, ქართველმა ხალხმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ცოცხლობს, აზროვნებს და არასოდეს დაემორჩილება უსამართლობას, სიცრუეს, ძალადობას! მომიტინგეებს შორის უხვად შეხვდებოდით ყველასათვის ნაცნობ, საპატივცემულო ადამიანებს.***

**რეზო მიშველაძე, მწერალი:** დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ გაამართლა ხალხის ნდობა, მან უღალატა საკუთარ ხალხს, ეროვნულ ღირებულებებს... პასპორტში ეროვნებასაც კი აღარ გვიწერენ. ქვეყნის სათავეში არიან ადამიანები, რომლებიც ცინიკური ტონით გველაპარაკებიან და თვალებში ნაცარს გვაყრიან. ვფიქრობ, დროა ბოკერია და ძმანი მისნი აზრზე მოვიდნენ და გაგვეცალონ.

**გია ბურჯანაძე, მსახიობი:** მოვედი, რომ ჩემი ხმა შევუერთო ათასობით ადამანის პროტესტს. რატომღაც, ყველას დაავიწყდა ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც უდანაშაულოდ ჩასვეს ციხეში. ის, ისევე როგორც ყველა სხვა უსამართლოდ დასჯილი, აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს!

**მარინე ჯანაშია, მსახიობი:** ხელისუფლებამ კონსტიტუცია თავის სხეულზე მოირგო. მან ხალხიც დაივიწყა და ისიც, რომ ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახუროს.

**გივი კვანტრიშვილი, აკადემიკოსი:** მმართველმა ძალამ უნდა გაითვალისწინოს ხალხის მოთხოვნები. სამწუხაროდ, მათ თითქმის ყველა ფენა გაამწარეს. საბავშვო ბაღიდან დაწყებული, მეცნიერ-მუშაკებით დამთავრებული, ინტელიგენცია „ჩარეცხილად“ გამოაცხადეს, საზოგადოება დაანაწევრეს. „წითელი ინტელიგენცია“, „ბოლშევიკური ინტელიგენცია“ – ამგვარი ეპითეტებით ამკობენ ხალხს, ვინც მთელი ცხოვრება საკუთარ ქვეყანას ემსახურებოდა. როგორ შეიძლება ასეთი დაყოფა, განა მათი დედმამაც ერთ დროს კომუნისტური პარტიის წევრები არ იყვნენ იძულებით? საქართველო – ეს ერთი ოჯახია. „ზვიადისტია“ ის, „შევარდნაძისტი“, თუ „სააკაშვილისტი“!!.

**ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი:** ქართველ ხალხს ერთადერთი თხოვნა აქვს ხელისუფლების მისამართით: მოუაროს, მიხედოს საქართველოს და თუ ამას ვერ ახერხებს, დროულად წავიდეს. გახსოვთ, როგორ დათმო ედუარდ შევარდნაძემ? მას არც ტყვია უსვრია მომიტინგეებისათვის, არც ტანკები გამოუყვანია მათ წინაალმდეგ, ადგა და კაცურად წავიდა!

**რატომღაც მეგონა, რომ საქართველომ საბოლოოდ დაიძინა, შეეგუა საკუთარ ხვედრს და ძალიან ვწუხდი ამის გამო. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის, ქართველი ხალხი გამოფხიზლდა და ისევ დაიწყო ბრძოლა უკეთესი ხვალინდელი დღისათვის, ბედნიერი მომავლის მოსაპოვებლად...**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

# დღევანდელობა

ექვსასი ლარით დაუჯარიმებიათ ქალი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, თუ როგორ, რანაირად შეიძლება მრიცხველიდან ციფრების ჩამოყრა.
სხვათა შორის, ბოროტი ენები ამბობენ, ამგვარი საქმეების დიდოსტატები თვითონ უბნის ინკასატორებს ჰყავთო, წილში ჯდომის საზღაურად



დავწვი თქვენი სამართალი

# სად დაიგეგმა ოპერაცია „იქსი?“

## ვფარავდეს მართალი სამართალი, შენველია ბექა!

**პრეზიდენტი შორს არის.**
**„...და ამავე დროს ტაიტივით მიუწვდომელი,“ როგორც ბრძანებდა დიდი გალაკტიონი.**
**ქართულ გაზეთებს არ კითხულობს.**
**არც მალავს.**
**ფოსტას არ ეცნობა და მისი მოიმედეების განწირული ხავილი რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.“**
**ბაძავენ ხელქვეითები.**

გონებრივ მომწიფებამდე გამინისტრებულები.

ვთქვათ, გიორგი არველაძე მხოლოდ ინგლისურენოვან გაზეთებს ათვალიერებს, ამერიკულად აზროვნებს.

ამიტომაც ვერ აკეთებს ქართულ საქმეს.

ბენდუქიძე ყიდულობს.

ჰყიდის.

სხვებიც ასე.

ჭრიან და კერავენ, როგორც უნდათ. მე შენ გეტყვი და მოუხმობ ვინმეს, გამოგიწვდის ხელებს.

სამართალს წამლადაც ვერ იპოვი. თემიდას თვალები ისედაც ახვეული აქვს. სადღაც იმალება მორცხვად, ჭუჭრუტანიდან გამოხედვაც არ უნდა.

შემთხვევითები აჩენენ სამართალს — მრუდესა და ავზნიანს.

დაჩაგრულების ხარჯზე, რასაკვირველია.

აჩენენ ხელალებით, სინდისის ღალატით, ვერაგობით.

სული უცხოელებზეა გაყიდული.

გადაცლილი სქელ ჯიბეზე.

ფაქტები დაუჯერებელი.

წარმოუდგენელი.

ყველაფერზე ხელაღებული.

ადამიანური საზღვრებიდან გასული.

მიყვებოდნენ და არ მჯეროდა. ეჭვით შევყურებდი ძველ თანამშრომელს.

მარტოხელას.

მიუსაფარს პრაქტიკულად.

ჰეიდარ აბაშიძის ქუჩის ხუთ ნომერში შესულან „თბილყაზგაზის“ თანამშრომლები. ისიც მაშინ, როცა სახლის პატრონი არ იყო შინ. უჩალიჩიათ რაღაც. მერელა მოუწვევიათ მეზობლები. უჩვენებიათ, აი, აქ არისო დაზიანებული გაზის მრიცხველი. შეუდგენიათ ოქმი, მეზობლის ქალები უხმიათ. უყოჩაღიათ მანდილოსნებს, არ მოუწერიათ ხელი რაც არ უნახავთ. აქტზე თურმე ორი ხელმოწერალა იყო — შენგელიასი და მამასახლისის.

ექვსასი ლარით დაუჯარიმებიათ ქალი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, თუ როგორ, რანაირად შეიძლება მრიცხველიდან ციფრების ჩამოყრა.

სხვათა შორის, ბოროტი ენები ამბობენ, ამგვარი საქმეების დიდოსტატები თვითონ უბნის ინკასატორებს ჰყავთო, წილში ჯდომის საზღაურად.

არ ვიცი.

საჭირო დოკუმენტი არ მაქვს.

არც მტკიცებას ვაპირებ რისამეს.

უბრალოდ, რამდენიმე თვის წინათ მომხდარს ვიხსენებ ზღაპრად გაგონილივით.

ცოტა ახალიც უნდა დავამატო, რისი მოწმე მეც გავხდი ერთი კვირის წინათ.

პარასკევს ორი ჯეელი შევიდა ტაშკენტის ქუჩის ოცდამესამე ნომერში.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, უფროსი ინკასატორი ვინმე ბექა შენგელია.

ინკასატორი გვარად მამასახლისი, სახელად ლევან.

აყვნენ ლიფტს მეცხრე სართულამდე. შეჩერდნენ კართან. ვიდრე ზარს დარეკავდნენ, შენგელია დაიმალა კარების გვერდით, არ გამოუჩნდა მასპინძელს, რომელმაც უყოყმანოდ შეიპატიჟა გაზის ინკასატორად წარდგენილი ყმაწვილი.

სტუმარმა მრიცხველის ადგილ-სამყოფელი იკითხა.

მიუთითეს.

გავიდა აივანზე და მასპინძელს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვა. როცა მასპინძელი დაბრუნდა, მამასახლისს ხელში სახრახნისი ეკავა, ლუქს უკირკიტებდა.

მასპინძლის გამოჩენისას არ შემკრთალა, უტიფრად განაცხადა, აი, აქ არისო დაზიანება.

კიდევ ერთხელ შეუჩხიკინა ლუქს.

მასპინძელმა ბრალდება იუარა. მამასახლისი მიხვდა, გარიგება არ შედგებაო და ჩემს უფროსს უნდა შევატყობინოო, გასცა „საიდუმლო.“ დააძრო ჯიბიდან მობილური, დაურეკა ბექას და დაზიანებაზე მიაწოდა ინფორმაცია.

გაშეშდა მასპინძელი. ყველაფერს მოელოდა, მაგრამ არამც და არამც ასეთ მზაკვრობას. მაინც არ დაბნეულა. ღიად დატოვებულ კარებს მივარდა. იქ შემოეფეთა შენგელია.

შეჭმუხვნილი შუბლით.

მრისხანე სახით.

გასხიპული მდუმარებით.

არც გაუხედავს მრიცხველისკენ.

კბილებიდან გამოსცრა მხოლოდ, მიკარნახეო, ლევან.

ასე სახელდახელოდ შედგა ექვსასლარიანი საჯარიმო ოქმი, რომელმაც გადამთიელების ყულაბაც შეავსო და რაღაც ნაფურჩხალი პრემიის სახით დაუტოვა შენგელია-მამასახლისის დუეტს.

მოწმედ არავინ შესწრებია ამ საძაგლობას.

საბუთად დარჩა მხოლოდ სატელეფონო ზარი, რომელსაც უთუოდ დააფიქსირებდა ფიჭური კავშირის ოპერატორი.

ძალოვან სტრუქტურებს შეუძლიათ ნათქვამის შემოწმება, თუ მთლად ხელიდან არ არის წასული საქმე და ვიღაცას მაინც შერჩა ნამუსი, რომელიც არსად არ იყიდება, თუ დედის მუცლიდან არ გამოყვა კაცს, მის ულვაშმა არ შეახსენა თავი საჭირო ჟამს.

ჩემდაუნებურად არ მასვენებენ კითხვები.

კერძოდ:

სად დაიგეგმა ოპერაცია „იქსი?“

ვინ იყო დაინტერესებული?

რატომ იმალებოდა კარებს უკან ბექა შენგელია?

ვის თვალებს გაურბოდა?

რატომ თავიდანვე არ შევიდა ბინაში?

რას უცდიდა, რატომ ელოდებოდა კარებს უკან დამალული ბექა მამასახლისის სატელეფონო ზარს?

თუ ეს ზარი მასპინძლისთვის თვალებში ნაცრის შესაყრელად იყო გამიზნული, მაშინ ოპერაცია „იქსი“ მართლა პროვაკაციისთვის ყოფილა გამიზნული.

მაქვს ინფორმაცია შენგელია-მამასახლისის საქმიანობაზეც ვექისის უბანში.

არიან მოწმეებიც.

ერთი სიტყვით, კითხვები ბევრია.

ვინ გასცემს პასუხს?

„ყაზგაზი?“

მეტი არაა ჩემი მტერი.

სისხლი და ხორცი არ გინდობს, საკუთარ მთავრობას არ ახსოვხარ და ყაზახი დაიცავს შენს ღირსებას?

ძალიან საეჭვოა.

ძნელად დასაჯერებელი.

ისევ შენგელიას უნდა ვუთხრა:

ასეთი სიმართლით გევლოს მთელი ცხოვრება, ბექა!

თბილისში.

ზუგდიდში.

ჭოლაშიც, თუ გნებავს.

პაპისეულ მამულში.

გფარავდეს მართალი სამართალი, რომელიც ურმით დადის, მაგრამ ყველას აკითხავს მაშინ და იქ, როცა საჭიროა, სადაც ჯერ არს.

**როზერტ ძერია**

აქტუალური თემა

# ოპოზიცია გამოქვეყნებას აპირებს...

***ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ ბადრი პატარკაციშვილმა შესაძლოა პარტია შექმნას, რომლის წესდებაც, როგორც საუბრობენ, რომ უკვე დაწერილია. ცხადია, ბოლო განცხადებები, რასაც პატარკაციშვილი აკეთებს, აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ იგი პოლიტიკაში რაღაც ფორმით უკვე ჩაერთო. მოგეხსენებათ, სახალხო მოძრაობის ეროვნული საბჭო, როგორც იურიდიული პირი, რეგისტრირებული არ არის და შესაბამისად საბანკო ანგარიშის ნომერიც არა აქვს. ამდენად, ბიზნესმენის ფინანსების მიღებას რამდენიმე პოლიტიკური პარტია ვარაუდობს, თუმცა, როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული, თანხა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის საბანკო ანგარიშზე გადაირიცხოს.***

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, შესაძლებელია დაფინანსება სხვა ფორმითაც მოხდეს. კერძოდ, პატარკაციშვილს შეუძლია დაიქირავოს ნებისმიერი რაოდენობის თანამშრომელი. ბადრი პატარკაციშვილი ფიზიკური პირია და გრანტებს ვერ გასცემს, მაგრამ მას უფლება აქვს, შრომითი კონტრაქტი გაუფორმოს ვისაც მას სურს — მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა იქნება ამ შრომითი ხელშეკრულების საგანი. ის შეიძლება იყოს კონკრეტული მიტინგის ორგანიზება და სხვა.

პატარკაციშვილის ფინანსების ხარჯვითი ნაწილის გამოქვეყნებას გაერთიანებული ოპოზიცია „როგორც კი პირველი თეთრი იქნება გადმორიცხული“, მაშინათვე აპირებს. რაც შეეხება 2 ნოემბრის აქციას, ამისთვის ფინანსები ოპოზიციამ კარგა ხნის წინათ „მოიმარაგა“. პატარკაციშვილს ფულის გამოყენება, რომელიც ბიზნესმენის განმარტებით, აქციების ცივილიზებულად მართვის უზრუნველყოფისთვის იქნება გამოყოფილი, ოპოზიცია უკვე მიტინგის შემდეგ გეგმავს.



მოქმედი კანონმდებლობით, ერთ ფიზიკურ პირს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ანგარიშზე 30 ათასი ლარის, ხოლო იურიდიულ პირს 100 ათასი ლარის გადარიცხვა შეუძლია.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ უმრავლესობა პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის შეცვლას გეგმავს. მმართველი პარტიის წევრები ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

შეგახსენებთ, რომ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონპროექტი ამ რამდენიმე ხნის წინათ რატი სამყურაშვილმა შეიმუშავა. შესაბამისი ცვლილებების შესახებ, კანონპროექტი პარლამენტმა მიიღო.

უმრავლესობა აცხადებს, რომ ამ კანონის მიღებით, ოპოზიციურ პარტიებს საშუალება მიეცათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდნენ. ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები საკმარისი არ არის.

— სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსების მოცულობა შეადგენს 3 მილიონ 400 ათას ლარს, აქედან ოპოზიცია იღებს დაახლოებით 1 მილიონ 700 ათას ლარს — იმავეს იღებს „ნაციონალური მოძრაობა“. ეს თანხა საკმარისია იმისთვის, რომ ბიუჯეტიდან მიღებული თანხებით უზრუნველყონ პარტიის ფუნქციონირება, — აღნიშნავს რატი სამყურაშვილი.

უმრავლესობის წევრების მტკიცებით, ამ კანონში ცვლილებები ახლა არ იგეგმება, თუმცა, სავარაუდოდ, მომავალში რაიმე სახის ცვლილება გამორიცხული არ არის.

**მზია გელენავა**

ინფორმაცია

## ჯარისკაცები პოლიგონზე მიდიოდნენ და არა თბილისშიო

**საავგენტო „ინტერფაქსის“ მიერ გავრცელებულ ცნობას კრწანისის სამხედრო ბაზიდან საჯარისო ნაწილების თბილისში გაგზავნის თაობაზე საქართველოს თავდაცვის უწყებაში კატეგორიულად უარყოფენ.**

**როგორც სააგენტოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ნანა ინწკირველმა განუცხადა, არც ერთი ჯარისკაცის თბილისის მიმართულებით გაგზავნა არ იგეგმება.**

**— გამორიცხულია, რომელიმე სამხედრო ნაწილიდან თბილისის მიმართულებით ერთი ჯარისკაცი მაინც გაიგზავნოს. შესაძლოა, საჯარისო ნაწილებიდან ჯარისკაცები პოლიგონებზე წვრთნის მიზნით გავიდნენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თბილისის მიმართულებით, — განაცხადა ინწკირველმა.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

# ისტორია

● ქვაბლიანელი მაჰმადიანი ქართველები წარმოსადეგნი, ზრდილნი, დინჯად მოლაპარაკენი, პურადნი და გულოვანნი ყოფილან



## სიმართლე კი ასეთია!..

# ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ თქვენ, „თურქო მესხებო“?

როგორც ვხედავთ, გვიანი შუასაუკუნეების წყაროები და მე-19 საუკუნის სტატისტიკური მონაცემები სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ქართველობაზე მეტყველებენ.

მე-19 საუკუნის სტატისტიკურ მონაცემებთან სრულ თანხმობაშია ამავე საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის ათიანი წლების ქართული და რუსული პუბლიცისტიკა.

1832 წლის აღწერის ოფიციალური მონაცემებით, ახალციხელი თურქების დიდი ნაწილი, რომელთაც მიიღეს ომარის სექტის მაჰმადიანობა, წარმოშობით თითქმის მთლიანად ქართველებია. ისინი ყველანი კარგად ლაპარაკობენ ქართულს. ბევრმა მათგანმა დღემდე შეინახა კიდეც თავისი ქართული გვარი, ახლა კი ზოგი მათგანი ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდაო.

გაზეთ „კავკაზის“ კორესპონდენტი კონსტანტინოვი 1846 წ. ახალციხეზე წერდა: „მთელი კავკასია შემოვიარე და მხოლოდ აქ შევხვდით ნამდვილ თურქულ ჩაცმულობას. თუმცა ენა მათ ისევ ქართული აქვთ და თათრულს დამახინჯებულად ლაპარაკობენო.

1868 წელს გაზეთ „კავკაზ“-ში ცნობილი მოღვაწე, კათოლიკე მესხი ლუკა ისარლოვი გვამცნობდა: „მესხეთის ტერიტორიაზე როგორც შემოერთებულ ისე შემოუერთებელ ნაწილში არიან სოფლები, სადაც ჯერ კიდევ ვერ შეაღწია თურქულმა ენამ და მცხოვრებნი სოფ.ზებგანში (ზემო ქვაბლიანი), მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ და წერენ. მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანები იყვნენ, სამცხე-ჯავახეთის, შავშეთის, აჭარის, ართვინის, მაჭახლისა და სხვა მხარეების ოჯახური ყოფა ქართული იყო. ამ წყაროს მიხედვით ჩანს, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი ქრისტიანული ჩვევები. ლ.ისარლოვი წერდა, „აწყურის უბნის სოფ.სვირში ოცდაათი ოჯახია, ყველა გამუსლიმანებული, მაგრამ ყველანი ლაპარაკობენ ქართულად. ამაღლება დღეს ყველა მიდის სოფლის ნახევრად დანგრეულ საყდარში, მოყავთ სამხთოები, ქართული წესით კლავენ ცხვრებს, ანთებენ სანთლებს. მათი რწმენით ეს ასე რომ არ გააკეთონ, ღმერთი იმ ქვეყანაში ერთ პირუტყვთან მოათავსებს. ქრისტიანულ ეკლესიაში მიდიოდნენ რძენაკლულნი მეძუძურნი ქალები, ლოცულობდნენ, იწერდნენ პირჯვარს, ანთებდნენ სანთლებს და ქრისტე ღმერთს შესთხოვდნენ დახმარებას.

საყუნეთელი მუსლიმანები მხოლოდ მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ და სოფლის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ხელყოფას არავის ანებებდნენ. იცავდნენ ხატ-ჯვრებსა და უვლიდნენ წიგნებს, ოღონდ ის იყო, რომ მოძღვარი არ ჰყავდათ. საყდარი შუაღამისას სისტემატურად ნათლდებოდა თურმე შიგშეპარული, ახლადგამუსულმანებული მრევლის წყალობით, რომელნიც ჩუმად ლოცულობდნენ თავიანთ ძველ წესზე. საყუნეთელები დიდხანს წითელი კვერცხებით ზეიმობდნენ აღდგომას.

აქაურ გამაჰმადიანებულთა ქორწილი და ქელეხი ძველი ქართული წესით ტარდებოდა. აშკარად ხმარობდნენ ღვინოს რაც მაჰმადიანური რელიგიით აკრძალული იყო, მღეროდნენ ქართულ სიმღერებს. მათ სიმღერებში, ბოლო დრომდე ისმოდა გარდასულ ქართველ მეფეთა და გამოჩენილ რაინდთა სახელები.

მე-19 საუკუნეშიაც კი მესხეთში თვით მღვდელთა შორისაც იშვიათად თუ მოიძებნებოდა ორცოლიანი, მიუხედავად იმისა, რომ ამის ნებას მას აძლევდა მაჰმადიანური რელიგია. ზაგურსკის მოწმობით, ახალციხის გამაჰმადიანებული მოსახლეობა გამოირჩეოდა თავისი სტუმართმოყვარეობით, ყურადღებიანობით და მხიარული შეხვედრის ხელოვნებით. მათი კარმიდამო და განსაკუთრებით ბაღები ყოველთვის დაკრიალებული და დასუფთავებული იყო, რაც კარგად ერწყმოდა მათ ბუნებრივ თავაზიანობას და მათ ქართულ ენასო“.

1868 წელს ივ.კერესელიძემ იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში და იმავე წლის ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში — ცნობები მესხეთზე ან საათაბაგოზე“ აქ მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების ყოფის შესახებ შესანიშნავი ცნობები შემოგვინახა. მისი დახასიათებით მაჰმადიანი მესხები სუფთა ქართველები იყვნენ და ქართულსაც წმინდად ლაპარაკობდნენ, **„წმინდად ქართველების ნათესავნი არიან და ქართულსაც წმინდად ლაპარაკობენ“**. ახალციხის მაზრაში ბეგები ძველი ქართველი ფეოდალების შთამომავლები — ერისთავები, ფალავანდიშვილები, აბაშიძეები, ამილახვრები, ხერხეულიძეები და სხვები იყვნენ. სამცხე-ჯავახეთის ბეგები თავს ქართველებად მიიჩნევდნენ. **„ეს არის აქ შესანიშნავი, საყვარელო მკითხველო, როდესაც ბეგს ვისმე ჰკითხავ, თუ ვინ არის ისა, მაშინვე დაუფიქრებლივ მოგიგებს ქართველი ვარო. გვარებიც ამტკიცებს დიასამიძე, ან თავთქირიძე ვარო, იმასვე ათქმევინებ რომ ჩვენ ერთმანეთის დამოკიდებულება დიდად საჭირო არისო“.**

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალო დამპყრობლებისგან მესხები აუტანელ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ და გამაჰმადიანებულნი — „გათათრებულნი“ იყვნენ, მათ წმინდად და შეურყვნელად ჰქონდათ დაცული ქართული ენა. ოსმალური ენა იცოდნენ მხოლოდ თურქეთის სახელმწიფო სამსახურში მყოფმა პირებმა, მაგრამ მათმა ოჯახის წევრებმა თურქული არ იცოდნენ და ქართულად მეტყველებდნენ. მართალია მესხები „გათათრებულები“ იყვნენ, მაგრამ ისინი „გათათრებულნი გამაჰმადიანებულნი, მხოლოდ გარეგნულად იყვნენ.

მესხეთის მაჰმადიან ქართველებს, თვით იმათაც კი ვისაც ქართული ენა დავიწყნოდათ, ქართული სიმღერები და ქართული ფერხული შენარჩუნებული ჰქონდათ. ივ. კერესელიძეს შეხვედრია ქართულის არმცოდნე გამაჰმადიანებული აბდულ-ოღლი, რომლის ძველი ქართული გვარი სამსონაშვილი ყოფილა. ამ აბდულამ ავტორს ქართული სიმღერები უმღერია და თავის მეზობლებთან ერთად ფერხული შეასრულა.

მე სპეციალურად მიმოვიხილე ასე ვრცლად ივ. კერესელიძის წერილი „ცნობები მესხეთზე ან საათაბაგოზე“, რათა მკითხველი საზოგადოებისათვის თვალსაჩინოდ გვეჩვენებინა, თუ ვინ იყვნენ 1944 წლის შემოდგომაზე სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მუსლიმი მოსახლეობის უმრავლესობის წინაპრები. 1860-იან წლებში, როდესაც ივ. კერესელიძე ამ წერილს წერდა, სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველობის დიდი უმრავლესობა (მსგავსად მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის საწყისისა) ჯერ კიდევ არ იყო დეეთნიზებული (რომლის გამომწვევ მიზეზებსაც წერილის მეორე ნაწილში შევეხებით), შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული გვარები, ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი და ქართულად მეტყველებდნენ.

1891 წ. ალ. ხახანაშვილმა მოსკოვში ეთნოგრაფიული მიმომხილველის მეათე წიგნში მესხების შესახებ ეთნოგრაფიული ნარკვევი გამოაქვეყნა „Месхи этнографический очерк“.

მე-19 საუკუნის სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის დამუშავების შემდეგ მან ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა დაადგინა. მისი მიხედვით, ახალციხის მაზრაში ცხოვრობდნენ შემდეგი ეროვნების ხალხები: 1. ქართველები (კათოლიკები, მართლმადიდებლები და სუნიტები); 2. სომხები — გრიგორიანები და კათოლიკები; 3. ქურთები (ზიოანისა და ისმალის მაჰმადიანები; 4. თარაქამები ან თარაქამნები, სუნიტები; 5. თურქმენები (ამ სახელწოდებით თავს იგივე თარაქამების ერთ-ერთი ტომი მოიხსენიებდა) სუნიტები ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებნი რუსი დუხობორები და ბერძნები. პროცენტული შედარება საერთო მასაში ასე გამოიყურებოდა. ქართველები — 78 პროცენტი, ქურთები 5,73 პროცენტი, თარაქამები — 3,9 პროცენტი თურქმენები — 1,1 პროცენტი და სომხები — 11 პროცენტი.

სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველები მაზრის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენდნენ. ქრისტიანი ქართველები მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ და ქართველი მუსლიმთა უმრავლესობამ იცოდა ქართული. საუკეთესო ქართული სიმღერები მას აწყურისა და კლდის სასოფლო საზოგადოებების სოფლებში ჩაუწერია. მას არ შეხვედრია არც ერთი მაჰმადიანი ქართველი, რომელიც გაუგებარი ქართულით მეტყველებდა. ტიპური ქართული იერსახე ნათლად და მკაფიოდ მაჰმადიანებს ჰქონდათ შენარჩუნებული.

ერთობ საინტერესო მასალაა დაცული 1894 წ. გაზეთ „ივერიაში“ ი.ბარკალაიას გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში — **„წერილი ქვაბლიანიდან“. ავტორის ინფორმაციით ქვაბლიანელი მესხები აღიარებდნენ მათ ქართულ წარმომავლობას და თავიანთ თავს „გურჯი ოღლებს“ უწოდებდნენ.** შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი ძველი ქრისტიანული წეს-ჩვეულებები და ხალხური ადათ-ჩვევები, ოთხშაბათობით და პარასკეობით მარხვას ინახავდნენ. ავტორის დახასიათებით ქვაბლიანელი მაჰმადიანი ქართველები წარმოსადეგნი, ზრდილნი, დინჯად მოლაპარაკენი, პურადნი და გულოვანნი ყოფილან.

ქართველებად მიიჩნევდნენ სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან ქართველებს ა. ყიფშიძე (ა. ფრალი), ზ. ჭიჭინაძე, ასლანიშვილი (ბარველი), კოპტონაშვილები, იოანე გვარამაძე და სხვა ქართველი პუბლიცისტები თუ საზოგადო მოღვაწენი. ქართველებად მოიაზრებდნენ მათ რუსი თუ უცხოელი მოგზაურებიც. მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის 10-იან წლების პუბლიკაციის მიმოხილვას ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და გეოგრაფ-მოგზაურის ილია ალხაზიშვილის სიტყვებით დავამთავრებთ, რომელიც მან თავის 1990 წ. გამოქვეყნებულ „ჯავახურ ლეგენდებში“ განაცხადა: მხოლოდ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ: ჭოროხის ხეობისა არ ვიცით და აქ კი, ამ ზემო ქართლში (მესხეთი, ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ოლთისი) მოსახლეობენ ან მკვიდრობენ ქართველნი, ან განგებ დასახლებულნი ყარაფაფახები (თარაქამები). ნუ დაიჯერებთ, ამ მხარეში ოსმალეთიდან ვინმე გამოსახლებული იყოს. **ვიმეორებთ, თარაქამების გარდა, აქ მოსახლე ვინც არის სულ ქართველობაა, მაგრამ დიდი უმრავლესობა გამაჰმადიანებულნი“.**

**ჩვენ მასალების დეტალურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები იყვნენ, რომელთა ნაწილსაც ქართული ენა და გვარები შენარჩუნებული ჰქონდათ.**

**1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილის ქართული წარმომავლობის დამადასტურებელია 1965 წლის 30 ივნისით დათარიღებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის გ.დებეცის ოფიციალური პასუხი დეპორტირებული მოსახლეობის შეკითხვაზე მათი ეთნიური წარმომავლობის შესახებ, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ისინი გამაჰმადიანებული ენობრივად, მნიშვნელოვანწილად თურქიზებული ქართველები არიან.**

**ზურაბ ცინცაძე**

---

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 198-209.**

## ინფორმაცია

### ბურჯანაძემ სამიტელებს თვალები აუხვია

„ქარვასლაში“ გრძელდება „თბილისის სამიტი“ თემაზე „დასავლეთ ევროპის მომავალი“. გუშინ სამიტზე სიტყვით პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გამოვიდა. ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი სამიტები სისტემატიურად მოეწყობა და ქვეყნები ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებს დაამყარებენ. მან ასევე ისაუბრა საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველი გუნდის წარმატებებზე.

— ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ყველაფერს ვაკეთებთ, რათა დავნერგოთ და მივუახლოვდეთ დემოკრატიულ სტანდარტებს. რევოლუციის პროცესებმა მოგვცა იმის საშუალება, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები დაგვენერგა. აუცილებელია, ქართველი ხალხის იმედების რეალიზება მოვახდინოთ. ჩვენ უფრო მეტად უნდა ვიყოთ მობილიზებულნი. ფაქტია, რომ მივაღწიეთ ძლიერი არმიის მშენებლობას, კორუფციასთან წარმატებულ ბრძოლას. ასევე წარმატებული რეფორმები განხორციელდა განათლების სექტორში და როცა ჩვენ პრობლემებზე ვსაუბრობთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვალებს ვხუჭავთ პრობლემებზე. ჩვენ ვცდილობთ მათ გადაჭრას, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

### შვედ მინისტრს საქართველოში ყველაფერი ვარდისფრად ეჩვენება

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი საქართველოს ევროპასთან მუშაობის გააქტიურებისკენ მოუწოდებს.

შვედი მინისტრის განცხადებით, მართალია, ქვეყანას ბევრი შიდა პრობლემა აქვს, მაგრამ მთავარია, რომ მთავრობა მათ მოსაგვარებლად ვალდებულებას კისრულობს.

— საქართველო აღიარებულია როგორც ერთ-ერთი რეფორმატორი ქვეყანა და მან ამ რეფორმების განხორციელების პროცესი უნდა განაგრძოს. ამისათვის მან ევროპასთან მუშაობა უნდა გააქტიუროს და არსებული კონფლიქტები მოაგვაროს, — განაცხადა ბილდტმა.

მინისტრი საქართველოში ბოლო დროს ანგაჟირებულ პროვოკაციების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ მთავრობა ამ პრობლემების მოსაგვარებლად ძლიერი უნდა იყოს.

— წარმატების პირობა სწორედ პრობლემების დაძლევაში მდგომარეობს, — განაცხადა ბილდტმა.

ინტერპრესნიუსი
ჯი-ეიჩ-ენი

# თემიდა

**შექმნილი მდგომარეობის შედეგად, თუ ქვეყნის მოსახლეობის მიმართ ხელისუფლების მხრიდან გაწეული ასეთი „მზრუნველობა“ გაგრძელდება, სამომავლოდ აღნიშნული რეკორდი აშკარად „გაუმჯობესდება“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიოში ყველაზე „ჯანმრთელი“ მოსახლეობა ეყოლება საქართველოს**



◉ ჟურნალისტური გამოძიება

# პრეზიდენტი და მისი „გუნდი“ ყიდიან ქვეყნისა და ერის მონაპოვარს, აბუჩად იგდებენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს

### №1 - რა ხდება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში?

**საკამათო არ უნდა იყოს, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლების მხრიდან ფაქტობრივი და შედეგობრივი მზრუნველობა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.** საქართველოს სინამდვილეში კი, ყველა ვხედავთ, რომ აშკარად მოჩვენებითი მზრუნველობაა, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს ერის მიმართ გამოხატულ გენოციდს.

### №2 - სამედიცინო მომსახურების პარადოქსი

**ამის სამაგალითო დასტურს იძლევა ქვეყანაში არსებული უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება და, როგორც წესი, დანარჩენ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში დანერგილი ფასიანი სამედიცინო მომსახურება.**

სწორედ ამით აიხსნება ის, რომ საქართველოს სინამდვილეში „03“-ის სამსახური ავადმყოფს უფასოდ უწევს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და, საჭიროებიდან გამომდინარე, გადაჰყავს ამა თუ იმ ჰოსპიტალში ან საავადმყოფოში, მაგრამ თუ ავადმყოფს არ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები, რათა სამედიცინო სტაციონარის პირობებში ჩაუტარდეს ამა თუ იმ დროის განმავლობაში სხვადასხვა სახის საჭირო სამედიცინო დახმარება, ავადმყოფი იძულებული ხდება სასწრაფოდ დატოვოს სამედიცინო სტაციონარი, რაც შედეგობრივ იწვევს მისი ჯანმრთელობის გაუარესებას. აი, ასე ზრუნავს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება...

### №3 - მზრუნველობა „ნაციონალურად“

**საოცარი „ნოვატორობა“ გამოიჩინა საქართველოს მმართველმა პარტიამ, როცა დააპირა, რომ ეზრუნა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და შეუდგა ეგრეთ წოდებულ ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის (პროექტი 100 ახალი საავადმყოფოს) რეალიზაციას.**

ხელისუფლების „ნოვატორობა“ გამოიხატა იმაში, რომ აღნიშნული გეგმის მიხედვით ამჟამად უკვე ჩატარდა სამი სხვადასხვა ტენდერი და გამარჯვებულებს („ახალ სტილს“, „ავერსს“, ევორდს“, „პსპ“-ს) საკუთრებაში ან, უფრო სწორად, საჩუქრად გადაეცათ რამდენიმე სამედიინო დაწესებულება – საავადმყოფოები თავისი შენობა-ნაგებობებით და მათზე დამაგრებული მიწებით და, ეს ყველაფერი ერთი პირობით – ხსენებული საჩუქრის მიმღებებს დაეკისრათ ვალდებულება – ახალ ტერიტორიაზე ააშენონ ზოგადი ტიპის სამედიცინო მომსახურების 100, 50 25-საწოლიანი სტაციონარები, რომელთა მფლობელნი „დასაჩუქრებულნი“ რჩებიან. რაც შეეხება ხსენებულ სამედიცინო პროფილის დაწესებულებებზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობებს და მიწებს – ძველი შენობების ადგილზე „დასაჩუქრებულნი“ ააშენებენ საცხოვრებელ სახლებს, სასტუმროებს ან სავაჭრო ცენტრებს, რომელთა გაყიდვით ან ექსპლუატაციით მიიღებენ სამომავლო მოგებებს მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე.

ქვეყნის ხელისუფლება აღნიშნულ გეგმას აფასებს როგორც „კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად“, რაც არანაირად არ ითვალისწინებს არც მოსახლეობის ინტერესებს, არც ქვეყნის ჯანდაცვის და, კერძოდ, სამედიცინო მეცნიერების ობიექტურ, ანუ ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ სამომავლოდ განვითარებულ პერსპექტივებს, რის შედეგად სამედიცინო მომსახურება რიგით მოქალაქისათვის საბოლოოდ გადაიქცევა ფუფუნების საგნად, და, რაც შეეხება სამედიცინო მეცნიერებას – მისი განვითარების პერსპექტივა დაყვანილი იქნება ნულამდე.

აღნიშნული დანაშაულის უშუალო „სულის ჩამდგმელებს“ და შემსრულებლებს წარმოადგენენ – საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი, პარლამენტის უმრავლესობა – ეგრეთ წოდებული „ნაციონალები“, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გ. წერეთელი, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზ. ნოღაიდელი, ქვეყნის მთავრობის ყველა წევრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ყოფილი მინისტრი – ლ. ჭიპაშვილი და ამჟამინდელი – დ. ტყეშელაშვილიძ, დამოუკიდებელი ექსპერტები და ეკონომიკური განვითარების მინისტრი გ. არველაძე.

### №4 - საქართველომ დაამყარა რეკორდი

**საქართველოს სინამდვილეში არსებული სამედიცინო ამბულატორიებისა და სტაციონარების დატვირთვის მაჩვენებლებს თუ შევადარებთ გასული საუკუნის, კერძოდ, 70-80 წ.წ. ანალოგიურ მაჩვენებლებს, უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაჯანსაღდა, რაც, როგორც ყველასათვის ცნობილია, არანაირად არ შეესაბამება სინამდვილეს.**

შექმნილი მდგომარეობის შედეგად, თუ ქვეყნის მოსახლეობის მიმართ ხელისუფლების მხრიდან გაწეული ასეთი „მზრუნველობა“ გაგრძელდება, სამომავლოდ აღნიშნული რეკორდი აშკარად „გაუმჯობესდება“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიოში ყველაზე „ჯანმრთელი“ მოსახლეობა ეყოლება საქართველოს.

იხ. 12 გვ.

◉ აღშფოთება

# რამაც კალამი აგვაღებინა

## პასუხი ისტორიის გამყალბებლებს

***რაც დრო გადის, სულ უფრო კომიკური ხდება ზოგი სომეხი მეცნიერის ძალისხმევა მიმართული ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ ენით აუწერელ სიბინძურის ნაკადს, რომელსაც ნიაღვრად მოაქვს სომხურენოვანი, თუ მათი ევროპულ-ამერიკული ლობების მიერ მრავალ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოები და ლიტერატურა. ბროშურები და რუკები, სადაც საქართველო, ხშირ შემთხვევაში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გასწვრივ გადაჭიმულ ვიწრო ზოლადაა გამოყვანილი, თითქოს სადღეისოდაც კი საქართველოს ტერიტორია მოიცავს სვანეთის, რაჭის, ქართლისა და კახეთის მთებს და მეტს არაფერს.***

ახლა უშუალოდ იმის შესახებ, თუ რამ აგვაღებინა ხელში კალამი სტუდენტებს. ისტორიიდან ვიცით, რომ მძლავრი სომხური შოვინისტური ტალღა XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს, ე. წ. „დიდი არმენიის“ იდეის გაჩენიდან. მას შემდეგ არაერთი სომეხი მეცნიერი გამოსულა ქართული კულტურის ძეგლებისა თუ საქართველოს ისტორიის შეურაცხმყოფელი მოსაზრებებით. ჩამონათვალი დიდია, დავასახელებთ განსაკუთრებით „გამორჩეულებს“: პატკანოვს, არწრუნს, იშხანიანს, რომელთა ნააზრევსაც დღეს „სანაქებოდ“ აგრძელებენ სურენ აივაზიანი, მანუქ მანუქიანი, ანდრანიკ მიჰრანიანი, ცნობილი პოლიტოლოგი სუნი (ნამდვილი გვარი სუნიანი?!ძ, პარუირ მურადიანი და სხვანი, რომელთა ყოველდღიურ მოთხოვნებას ქართველების ლანძღვა-გინება წარმოადგენს.



სწორედ პარუირ მურადიანის გამოსვლამ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოქტომბერში გამართულ კავკასიოლოგთა კონფერენციაზე, გამოიწვია ჩვენი აღშფოთება და გულისტკივილი. ბ-მა მურადიანმა ძირგამომთხრელი საქმიანობა საეკლესიო სფეროში გადაიტანა და დაბეჯითებით დაიწყო იმის მტკიცება, რომ საქართველოში არასდროს უქადაგიათ სვიმონ კანანელსა და მატათას, არც ანდრია პირველწოდებულსა და წმინდა ნინოს. მისი თქმით, ეს ყოველივე მხოლოდ ლეგენდაა და მეტი არაფერი. ამ განცხადებით ბ-ნი მურადიანი პირდაპირ შეეხო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს, რომლის წინ წამოწევა და კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ჯერ კიდევ XI საუკუნეში სცადეს ბერძნებმა, მაგრამ ბრწყინვალე ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა სწორედ ამ მოციქულთა საქართველოს მიწაზე ყოფნით დაუმტკიცა მათ ქართული მართმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალურობა და ის ბერძნულზე მაღლაც კი დააყენა. როგორც ჩანს სომეხ მეცნიერს ლიტერატურის მითითება სჭირდება, რათა სათანადოდ შეხედოს მოვლენებს.

ამიტომ მას და მის კოლეგებს ვურჩევთ გაეცნონ შუასაუკუნეების შესანიშნავ ბერძნულ წყაროებს ქართულ მიწაზე ქრისტეს მოწაფეთა მიმოსვლის შესახებ, წაიკითხონ აგრეთვე არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორე კასტელის, ამბროჯო კონტარინის, ჟან შარდენისა და სხვა ევროპელი მისიონერების ნაშრომები საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით და არც გიორგი სააკაძე ეგონებათ... სომეხი და არც ქართული ფეოდალური საგვარეულოები – არმენიული წარმომავლობისა, საერთოდ კი აუცილებლად უნდა შეწყდეს ის სეპარატისტული სააგიტაციო კამპანია, რაც სომხებით დასახლებულ ჯავახეთში მიმდინარეობს. ჯავახეთი, როგორც ერთ-ერთი ქართული ისტორიული პროვინცია ყოველთვის საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო და იქნება.

**გიორგი ასტამაძე,**
**ლევან კიკვიძე,**
**თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები.**

**ჩვენ** ● ორი უნივერსიტეტის ინტეგრაცია, ფაქტობრივად, ცხინვალის უნივერსიტეტის გორის უნივერსიტეტთან შერწყმას ნიშნავდა (და არა პირიქითძ, ამიტომ, ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკური იქნებოდა, რომ ახალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა დარჩენილიყო



◉ ვაი-განათლება

# კიდევ ვის ვუთხრათ „ფანდარასტ“?!

**ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმირებაზე იმდენი ითქვა და დაიწერა, ყველაფერი ერთად რომ შევკრიბოთ, თაბახის ფურცელი ერთმანეთს გვერდიგვერდ რომ მივუწყოთ, თბილისიდან გორამდე გზას ერთიანად დაფარავდა. რატომ მაინცდამაინც გორამდეო, დაიბადება სავსებით ბუნებრივი კითხვა, რატომ და იმიტომ, რაც იქაურ ყოფილ სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება, ნამდვილად საარაკოა.**

„ყოფილ სახელმწიფო უნივერსიტეტში“, ზემოთ შემთხვევით არ დამიწერია, რადგან ამჟამად იგი უბრალოდ გორის უნივერსიტეტია, სადაც სტუდენტებისა და ლექტორ-თანამშრომელთა უფლებები ფეხქვეშ ითელება. დავიწყოთ იმით, რომ კარს აგერ ლამის ახალი წელი მოგვადგა, სწავლა კი გორის უნივერსიტეტში ჯერაც არ დაწყებულა (?!ძ.

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რედაქციის ხელთ არსებული მონაცემებით, გორისა და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტების შერწყმის საკითხია.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ზოგადად განათლების სისტემის რეფორმების პროცესში, კერძოდ კი უმაღლესი სკოლის მიმართ გატარებული პოლიტიკის გამო, ქვეყნის მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ იმდენი საყვედური მიიღო, რომ იტვიან, „დოლს არ მოხვედრია“. სასაყვედურო კი ამ შემთხვევაში, უწინარესად, არასწორი საკადრო პოლიტიკაა, სადაც ყველაფერი არა კოლეგიალურად, არამედ პიროვნული, ძალისმიერი გადაწყვეტილებების საფუძველზე ხდება.

როცა გორისა და ცხინვალის უნივერსიტეტების გაერთიანება გადაწყდა, ამას, ცხადია, მნიშვნელოვანი წინასწარი მუშაობის გაწევა სჭირდებოდა, რაც საინტეგრაციო კომისიის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, გორის უნივერსიტეტის ხელმძღვანელ თანამშრომლებს, საუნივერსიტეტო მართვის წარმომადგენლებს, არათუ მოქმედების, არამედ წლეულს იანვარში გამართულ სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებაც არ მისცეს. უფრო მეტიც: საინტეგრაციო კომისიის სხდომაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლები, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ც. დურული, დეკანები, პროფესორები ზ. ტიელიძე და ბ. გრძელიძე... საერთოდ არ დაუშვეს (?!ძ.

უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლებმა ასეთ ქმედებაზე, ცხადია, უარყოფითი რეაქცია გამოხატეს, რაც, ნუ იტყვით და, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროში ნამეტნავად არ მოეწონათ და „მეამბოხე“ პედაგოგთა დასჯა გადაწყვიტეს: საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან წარდგინების შემდეგ წლეულს, 22 აგვისტოს, მათ უფლება-მოსილება შეუწყვიტეს რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ამით დაირღვა აკადემიური პერსონალის უფლებები, ვინაიდან ისინი მანამდე ამ თანამდებობებზე არა დანიშნული, არამედ არჩეულნი იყვნენ — ოთხი წლის ვადით.

ვიდრე ცხინვალის უნივერსიტეტს გორის უნივერსიტეტს შეუერთებდნენ (ანდა, კაცმა რომ თქვას, რა ყველაფრის „ერთ ქვაბში მოხარშვა“ აქვთ ატეხილი მეცნიერებისა და განათლების სამინისტროში, განა რა დაშავდებოდა, ცხინვალშიც ყოფილიყო უნივერსიტეტი და გორშიც?!ძ, იქ 350 სტუდენტი სწავლობდა (გორში, შესაბამისად, 1500ძ. თანაც, როგორც ირკვევა, ცხინვალის უნივერსიტეტს აკრედიტაცია არ ჰქონია გავლილი (?!ძ და იქ რეფორმაზე, რომლითაც მეცნიერებისა და განათლების სამინისტროში ესოდენ ამაყობენ, მანამდე ფიქრიც არ ჰქონიათ დაწყებული (!!ძ.

შემდეგ კიდევ „უკეთესი“ რამე-რუმეები მოხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ორი უნივერსიტეტის ინტეგრაცია, ფაქტობრივად, ცხინვალის უნივერსიტეტის გორის უნივერსიტეტთან შერწყმას ნიშნავდა (და არა პირიქითძ, ამიტომ, ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკური იქნებოდა, რომ ახალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა დარჩენილიყო, კერძოდ, რექტორის მოვალეობა ისევ კლარა ელჩიბეგაშვილს შეესრულებინა და არა ცხრინვალის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელ ზაზა ცოტნიაშვილს. მაგრამ, როგორც ჩანს, განათლების სამინისტროში თავისი ლოგიკა აქვთ (იქნებ ვინმეს შიშის გამოცძ.**

აი, ეს გარემოებაა ერთობ საგულისხმო. თურმე, ნუ იტყვით, და ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ ქარელის მეგობარი ზაზა ცოტნიაშვილი, რომელიც სადღეისოდ გორის უნივერსიტეტის რექტორის სავარძელს იმშვენებს, მოღვაწეობა მართალია ცხინვალის უნივერსიტეტში რიგითი პედაგოგის საფეხურიდან დაიწყო და რექტორის მოვალეობის შესრულების სტატუსამდეც მიაღწია, მაგრამ, როგორც ირკვევა, პარალელურად... ერგნეთის ბაზრობაზე ერთ-ერთი გავლენიანი პირიც იყო. იგი, ჯერ სავალუტო გადამცვლელი ბიზნესი ჰქონდა, თანაც, ამავდროულად... რუსეთისკენ „მანდარინის გზის“ „კოორდინატორიც“ იყო.

ამდენად, ვფიქრობთ, ეჭვი არ არის, რომ ბატონი ცოტნიაშვილი (რომლის მიმართ სადღეისოდ, პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც კია აღძრული (?!ძ ძალიან მდიდარი თუ არა, საკმაოდ შეძლებული კაცია. ამას ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორთან და მეცნიერებისა და განათლების მინისტრის გავლენიან მოადგილე ბელა წიფურიასთან ახალგაზრდობიდან მოყოლებულ მეგობრობას თუ მივუმატებთ, უაკრედიტაციო ცხინვალის უნივერსიტეტის აკრედიტირებულ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად „მოჯდომა“, გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს (ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ როცა გორის უნივერსიტეტის მოვალეობის შემსრულებლად ინიშნებოდა, განათლების მინისტრმა მას... მიხეილ ქარელის... გარანტიები (?!ძ მოსთხოვა!ძ.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გორის ცხინვალისაზე „დამყნობილ“ უნივერსიტეტში სწავლა ჯერაც არ დაწყებულა, რითაც ირღვევა როგორც სტუდენტების განათლების მიღების, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა შრომის უფლება, რომლებსაც მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსადმი წერილობითი მიმართვის მიუხედავად, ხელფასები ორი თვეა არ ეძლევათ (არადა, ყველას ოჯახები ჰყავს, ნეტავ იმათ წევრებზე თუ ოდნავ ნერვი ასტოკებიათ ჩვენი განათლების „გენერლებს“?!ძ.

აქვე კიდევ ერთ, შემაშფოთებელ გარემოებას გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო. **ყოველივე ზემოთქმულის შესახებ ჩვენმა საზოგადოებრიობამ პირველად ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გამოსული გორის უნივერსიტეტის პროფესორების ზურაბ ტიელიძისა და ბორის გრძელიძისგან შეიტყო. თითქოს ლოგიკური იქნებოდა, რომ შესაბამისი სტრუქტურა, ანუ მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ვგულისხმობ, საქმის ვითარებაში ობიექტურად გარკვეულიყო (ისე, ერთი კია გასაკვირი: საერთოდაც აქამდე რატომ ვერ გაერკვნენ, რამ ან ვინ შეუშალა ხელი?ძ, მაგრამ, ნურას უკაცრავად „მეამბოხე“ პროფესორები ტიელიძე და გრძელიძე... საერთოდ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან (!!ძ.**

მოკლედ, რა ბევრი გავაგრძელოთ, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა აქაც რასაც უნდა აკეთებს და სხვაგანაც. როდემდე გაგრძელდება ასე, ძნელი სათქმელია, ფაქტი ჯერჯერობით უაღრესად გულსატკენია: სტუდენტები ვერ სწავლობენ (შესაბამისად, ვერც სტიპენდიას იღებენძ, მათი „დაპანღურებული“ პედაგოგები კი სამართალს მშივრები ეძებენ, თუმცა ჯერჯერობით ამაოდ...

**ოთარ ტურაბელიძე**

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

◉ სამართალდამცავები

# პოლიციას ემზადებოდა

**ზუგდიდში განვითარებული ცნობილი მოვლენების შესახებ ჩვენი მკითხველი, მთლიანად საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული. ზუგდიდის მოვლენებამდე საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია ხობშიც. როდესაც იქ ოპოზიციის წარმომადგენლები ჩავიდნენ, ადგილობრივი „ნაცმოძრაობა“ და პოლიცია ყველა პროვოკაციაზე იყო წამსვლელი, ოღონდ აქცია ჩაეშალათ.**

როგორც კი ხობში არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაცია „მოძრაობა ძალადობის გარეშე“ დაფუძნდა, შემდეგ კი ზუგდიდში — თანასწორობის ინსტიტუტის ფილიალი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებმა დაიწყეს ორგანიზაციის წევრთა ოჯახების, პირადად მათი დაშინება და დაშანტაჟება. მის ხელმძღვანელს, ილია ჩაჩიბაიას პირადად დაუკავშირდა სამეგრელოს „ნაციონალური მოძრაობის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი რაულ ქირია და გააფრთხილა — სახლში დაეტიე, თორემ პურის ფქვილის გარეშე დარჩებიო. ჩაჩიბაიას არ შეეშინდა და არ დარჩა სახლში. „ნაცმოძრაობიდანაც“ კონტრზომებმა არ დააგვიანეს.



ქირიას სატელეფონო ზარიდან ნახევარ საათში ახლადდაფუძნებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი უმუშევარი დარჩა. რევოლუციამდე იგი ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო GHN-ის სამეგრელოს ბიუროს უფროსი იყო. „ნაცმოძრაობა“ ურჩობისათვის მას დაუკავშირდა სააგენტოს გენერალური მდივანი გოჩა მირცხულავა და ყოველგვარი მიზეზებისა და ახსნა-განმარტებების გარეშე ამცნო, რომ იგი სამსახურიდან უკვე განთავისუფლებული იყო.

ამას მოჰყვა სხვადასხვა ჯურის ადამიანების ზარები. მათ შორის იყო საეჭვო წარსულის მქონე, მაგრამ „რევოლუციის“ შემდეგ აქტივისტად გარდაქმნილი ლადო ქვარცხავას ზარიც, რომელიც ჩაჩიბაიასა და მის ახლობლებს ქალაქგარეთ შეხვედრას სთავაზობდა. ახალგაზრდებმა ქვარცხავასთან შეხვედრა, მხოლოდ ოფიციალურ გარემოში და მასმედიის თანდასწრებით ისურვეს. ამის შემდეგ ქვარცხავა მათ აღარ გამოხმაურებია. ცხადია, რომ ქვარცხავა და მისი საძმო ახლადშექმნილი ორგანიზაციის წევრების დაშინებას, შესაძლო ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც აპირებდნენ.

როდესაც ჩაჩიბაიაზე არაფერმა გაჭრა, ამუშავდა სხვა მექანიზმები. ახალგაზრდული ორგანიზაციის კიდევ ერთ ლიდერს, ჯაბა ჯიშკარიანს, დაუკავშირდა როლანდ ახალაიას მარჯვენა ხელი, ხობის პოლიციის უფროსი კობა ხუბულავა. მან პირდაპირ გააფრთხილა ჯიშკარიანი, რომ ცრუ მოწმეს ხელს დაადებინებდა, ვითომ ჯიშკარიანმა ჩაიდინა უცნობი პირის მიმართ ძალადობა. ამ ცრუ ჩვენების საფუძველზე „შეიკერებოდა“ საქმე და ახალგაზრდა, „მოძალადეს“ დააპატიმრებდნენ. ჯიშკარიანი ხუბულავას მუქარამ არ შეაშინა.

ხელისუფლება ცდილობს, თავისი კომუნისტურ-ბოლშევიკური რეჟიმის გამყარებას ძალადობების, დაშინებების, შანტაჟების გზებით, აცხადებენ სამეგრელოს ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები.

ფაქტმა, რომელიც 28 ოქტომბერს ზუგდიდში გამართული გრანდიოზული მიტინგის შემდეგ დაფიქსირდა, კიდევ უფრო განამტკიცა ხელისუფლების ალიანსში ყოფნის რეალობა. ზუგდიდში და მთელ სამეგრელოში ღიად აცხადებენ, რომ მასობრივი უმოწყალო ცემა-ტყეპის მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ადგილობრივ „ნაციონალებთან“ და სამართალდამცავებთან ერთად ქალაქ ზუგდიდის პარლამენტის წევრი გრიგოლ ქობალიაც იყო.

**ზაზა ბილიხოძე**

**რუსეთის ისტორიაში არის ამოუხსნელი გამოცანა: ოქტომბრის გადატრიალება იქცა მსოფლიო რევოლუციის მოწადინე მემარცხენე რადიკალური ინტელიგენციის გამარჯვებად, სამოქალაქო ომი კი მოიგეს მემარჯვენე წითელმა რაზმებმა, სულიერად რუსეთის ეროვნულ ფესვებთან დაკავშირებულებმა**



**სხვა გაზეთებიდან**

# ვინ მოაბიჯებს მანდ მარცხენით?

## შედგება კი მეოთხე რუსეთი?

და რამდენადაც მე-20 საუკუნის დასაწყისის მემარცხენე ჰუმანისტები ბოლშევიკებს შეერწყნენ, პარამონოვს გამოჰყავდა მთავარი დასკვნა: „ბოლშევიზმი წარმოსდგება, როგორც რაღაც უკვე არა ფსიქოლოგიური, არამედ მეტაფიზიკური ჰომოსექსუალიზმი“. დასადასტურებლად კი პლატონოვის „ჩევენგურიდან“ ნაწყვეტს უხმობდა „ქალის მავნეობის“ თაობაზე.

ეგ კია, რომ პარამონოვის ლოგიკას მერეჟკოვსკის ცნობილ აზრამდე მივყავართ: „ეს რუსულმა ინტელიგენციამ გამოწურა თავისი თავისგან ბოლშევიკები. ბოლშევიზმი — ეს სატანიზმია. რადიკალურმა ინტელიგენციამ თავისი სქელი ჟურნალებიდან დახვრიტა რუსული სულიერი კულტურის ყველა უმნიშვნელოვანესი ფასეულობა“. მერეჟკოვსკის ბანს აძლევდა ბერდიაევი: „ინტელიგენცია ბერთა ორდენს გვაგონებდა ან რელიგიურ სექტას განსაკუთრებული მორალით, ერთობ მოუთმენლით, გამორჩეული უფლებებითა და ჩვეულებებით“. ლუნაჩარსკი კი აზუსტებდა: „ეს პროტესტის გამომხატველი ინტელიგენციის „ორდენი“ არაჩვეულებრივად მძლავრი გახლდათ, სახელს კიდევაც იძლეოდა და კიდევაც გართმევდა (ღირსშესანიშნავია, რომ ბერდიაევმა და ლუნაჩარსკიმ მემარცხენე ინტელიგენციის მიმართ გამოიყენეს „საიდუმლო ორდენის“ ცნება).

მემარცხენე კულტურის „ორდენის“ განუხრელ კავშირს ბოლშევიზმთან აღნიშნავდა ბლოკიც: „რუსული ფუტურიზმი იმ საშინელი კარიკატურებისა და უაზრობების წინასწარმეტყველი და წინამორბედი გახლდათ, რომლებიც მოგვივლინა ომისა და რევოლუციის ეპოქამ... ფუტურიზმი გახდა ოფიციალური ხელოვნება“. ვალენტინ კატაევმა კი ბოლშევიზმის მიმზიდველობა ახსნა რაზნოჩინცული წრის მემარცხენე ჰუმანისტებისათვის: „ჩვენ პირველად ვიგრძენით თავი ძველი სამყაროს ყველა ტვირთისა და ცრურწმენისაგან, ოჯახური რელიგიური, თუნდაც მორალური ვალდებულებებისაგან განთავისუფლებლად. მხოლოდ უფლებები და არავითარი ვალდებულება. ჩვენ, წვრილ მოსამსახურეთა, მასწავლებელთა, აქციზურ მოხელეთა, ხელოსანთა შვილებმა“. ასეთი სიტყვების ფონზე სწორად გამოიყურება იმ პერიოდის კულტურული შეფასება, მოცემული ა.ვიკსბურგის მიერ ლილია ბრუკზე დაწერილ წიგნში: „რევოლუცია იყო მოდერნის ნაწილი“. და თუმცა უფრო მართებული იქნებოდა პირიქით თქმა — „მოდერნი იყო რევოლუციის ნაწილი“, — გადაადგილებით არსი არ იცვლება. ეგეც კია, პარამონოვის გახსენებით უნდა დავუმატოთ: ბევრ შემთხვევაში ლაპარაკი იყო მოდერნზე დეკადენტური (ბერდიაევის მიხედვით) გადახრით.



იმ წლებში ფუტურისტთა ლიდერი მაიაკოვსკი ტრადიციონალისტებს ანადგურებდა: „ნახეთ სტანისლავსკის ყბადაღებული წიგნი „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“, ეს ცნობილი გერმანული წიგნი — იგივე „თეთრი გვარდია“ და იქ შეხვდებით საგალობლებს ვაჭართა მისამართით“. მას კვერს უკრავდა მომავალი მარშალი ტუხაჩევსკი, რომელიც თავის თავს ფუტურისტს უწოდებდა: „რუსეთის ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ყველაფრის ლიკვიდირება მოახდინოს: დრომოჭმული ხელოვნებისა, მოძველებული იდეებისა, მთელი ამ ძველი ისტორიისა“. „ბნელი გენიოსი“ მეიერხოლდი კი მოგვიწოდებდა „ძველ რუსეთზე უარის თქმას დედამიწის ხელოვნების სახელით“.

ეს რადიკალური ლოზუნგები გვიხსნიან, თუ რატომ იყვნენ, ვაკსბერგის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ივანე ბუნინი, დიმიტრი მერეჟკოვსკი, ზინაიდა გიპიუსი, ვლადისლავ ხოდასევიჩი, ბორის ზაიცევი — ლილია ბრუკის წრისათვის „რეაქციული ბნელეთის მოციქულები“.

ასე გამოიყურებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსეთის კულტურული ლანდშაფტი, როცა ბოლშევიკებთან ხელიხელჩაკიდებულები „მიაბიჯებდნენ რევოლუციაში“ მემარცხენე ჰუმანისტები. და თვალში საცემია ამ ლანდშაფტის გასაოცარი მსგავსება მე-20 საუკუნის მიწურულის გარდაქმნით სიტუაციასთან, ოდეს სამუშაოთა მწარმოებელ ნეობოლშევიკებთან ფეხაწყობილი ამოძრავდნენ ჰუმანისტი მემარჯვენეები. ისინიც ამსხვრევდნენ ყოველივე იმათამდე შექმნილს, უკუაგდებდნენ ნებისმიერ, კერძოდ, მორალურ ვალდებულებებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უშენდნენ რუსული კულტურის ღირებულებებს, სანაცვლოდ ცდილობდნენ რა „დეკადენტური“ სუბკულტურის დამკვიდრებას.

პოლიტიკური აზრით ნეობოლშევიკები მემარჯვენეებად იქცნენ, ხოლო იმათი კულტურული წრე — ლიტერატურული დედის გინებიდან ბიენალემდე — მემარცხენული დარჩა, ვითარცა დეკადანსის ხანებში. და წინა პლანზე გამოვიდა სულიერი პირმშოობა, სამამულო კულტურის დიდი ხნის გაორებაში ჩაფესვილი, რუსულ ცნობიერებაში უფრო ღრმად ჩაწოლილი, ვიდრე პოლიტიკური ისტორიის მემარჯვენულ-მემარცხენული კლაკნილები. იმის მასშტაბში სლავიანოფილებისა და მედასავლეთეების დავა ისეთივე კერძო შემთხვევად მოჩანს, როგორც ნიუტონის მიზიდულობის კანონი — აინშტაინის ფარდობითობის თეორიაში.

არა, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ უფსკრულის იქითა მხრიდან ბლოკს უპასუხებდა წითელრაზმელი ესენინი: „ღმერთი იყოს იმათი შემწე, მაგ პიტერელი ლიტერატორებისა... ჩვენ ხომ სკვითები ვართ, ვინც მივიღეთ ანდრეი რუბლიოვის თვალებით ბიზანტია და კოზმა ინდიკოპლოვის ნაწერები ჩვენი დედაკაცების რწმენასთან ერთად, თითქოს დედამიწა სამ ვეშაპზე დგას, ისინი კი ყველანი რომანელები არიან, ყველანი მედასავლეთეები არიან. იმათ ამერიკა სჭირდებათ, ხოლო ჩვენ ჟიგულებში — სიმღერა, ზედაც სტენკა რაზინის კოცონი. იმათთან დაახლოება შეუძლებელია“.

დაახლოება შეუძლებელია...

### სტალინი ლენინის წინააღმდეგ

**რუსეთის ისტორიაში არის ამოუხსნელი გამოცანა: ოქტომბრის გადატრიალება იქცა მსოფლიო რევოლუციის მოწადინე მემარცხენე რადიკალური ინტელიგენციის გამარჯვებად, სამოქალაქო ომი კი მოიგეს მემარჯვენე წითელმა რაზმებმა, სულიერად რუსეთის ეროვნულ ფესვებთან დაკავშირებულებმა. ამ გამოცანას თუ ხელს ავუქნევთ, გაურკვეველი დარჩება მეორე სამოქალაქო ომის მიზეზები და დემოკრატიის პირობებში ჩვენ გავიზეპირებთ იმ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მოკლე კურსის უკანალებს, რომლის თანახმადაც სტალინი ლენინის საქმის გამგრძელებელია.**

სინამდვილეში სტალინი დამამხობელია ლენინისა.

სამოქალაქო ომი, რომელშიც ერთმანეთს სასიკვდილოდ შეება პეტერბურგული რუსეთის ორი რაზნოჩინცული ფრთა — წითელი კომისრები და თეთრი ოფიცრები, მემარცხენე რადიკალები და პატრიოტები, წმინდა რუსულ ტრაგედიად იქცა. ეს იმიტომ, რომ პეტრეს რუსეთის კომისრები მხოლოდ ხელმძღვანელობდნენ ერთ-ერთ მტრულ მხარეს, ხოლო იმათი არმიის ძირითად მასას შეადგენდნენ პეტრემდელი რუსეთის წარმომადგენელი უბრალო ხალხის ფენები. ტყუილად როდია, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი სამოქალაქო ომს ადარებს რაზინის აჯანყებასთან, როცა წითელრაზმელები ძალაუფლების წართმევას უპირებდნენ მაშინდელ ჯარისკაცულ ფენას. მე-17 საუკუნეში პეტრემდელი რუსეთისა და პეტრეს რუსეთის ეს შეჯახება წითელმა რაზმებმა წააგეს. მერე კი, ასწლეულების სიგრძეზე პეტერბურგელთა მიმართ სიძულვილის ტარებით მე-20 საუკუნეში აიღეს რევანში, რიგრიგობით გაუსწორდნენ რა ჯერ თეთრ ოფიცრებს (სამოქალაქო ომის მსვლელობისას), მოგვიანებით კი წითელ კომისრებს (მეორე სამოქალაქო ომის წლებში).

წითელი რაზმები, მილიონი ხიშტის მოღერებით, კომისართა მხარეზე გამოვიდნენ 1919 წლის შემოდგომაზე, როცა მოხალისეთა არმიამ აიღო კურსკი, ორიოლი, ხოლო დედაქალაქის „მეტროპოლში“ მცხოვრებმა ბოლშევიკთა უფროსებმა უკვე მოამზადეს საზღვარგარეთული პასპორტები და დაწვეს პარტბილეთები. ამ შეკავშირების კლასობრივი მიზეზების თაობაზე მსჯელობათა საპირისპიროდ, სინამდვილეში ძირითადი როლი შეასრულა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა. პატრიოტულად განწყობილი ოფიცრები არ მიეკუთვნებოდნენ საზოგადოების უმაღლეს ფენებს, თუმცა მათი ოქროს სამხრეულები ხალხის შეგნებაში ასახიერებდნენ საძულველ პეტერბურგულ აზნაურობას. უბრალო წითელრაზმელი ყოველ ოქროსსამხრეულიანში ხედავდა გლეხის ძომაგი გრიგოლ რასპუტინის დამღუპველ თავად იუსუპოვს. იმავე მიზეზით არ დაუჭირეს მხარი ოფიცრებს შავმა რაზმებმა, რომლებმაც არც კომისრები შეიწყნარეს მათი ულმერთობის გამო.

**ანატოლი სალუცკი,**

Литературная газета

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 209-210.

**ინფორმაცია**

### ეს სრულიად საქართველოს მიტინგია

**თბილისში ოპოზიციის მიტინგს საერთაშორისო მასობრივი საშუალებები გამოეხმაურნენ.**

**სააგენტო „იტარ-ტასი“ პარლამენტის წინ შეკრებილ საზოგადოებას, სრულიად ქართველთა მიტინგს უწოდებს.**

**„იტარ-ტასი“ ასევე აღნიშნავს, რომ თუ ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, მიტინგები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.**

### ტეფტს მიტინგები ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია

**საპროტესტო აქციის გამართვა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა. ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ტეფტმა განაცხადა, რომელიც „თბილისის სამიტის“ მუშაობაში მონაწილეობდა.**

**ელჩის თქმით, დემოკრატიული ქვეყნისთვის საპროტესტო დემონსტრაციები ჩვეულებრივი პროცესია.**

**იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ არსებული ვითარების განსამუხტად, აშშ-ის ელჩმა კომენტარისგან თავი შეიკავა.**

### ოსებს სპეცრაზმელები ელანდებათ

**თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, ქართულმა მხარემ სოფლების ფრისის, თამარაშენისა და ავნევის მიმართულებით სპეცდანიშნულების რაზმები შეიყვანა. ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე ფაქტო სახელმწიფო კომიტეტი იუწყება.**

**— სპეცდანიშნულების რაზმების წევრებს მითითებებს თბილისიდან ჩამოსული ინსტრუქტორი აძლევს. მუშავდება ავტომობილების, ბლოკპოსტებისა და შენობების დაპყრობის გეგმები. წინასწარი ინფორმაციით, ქართული სპეცდანიშნულების რაზმებს თბილისში საპროტესტო აქციების წინ კონფლიქტის ზონაში ვითარების დესტაბილიზაციის და ძალის დემონსტრირების მიზნით დივერსიული აქტების განხორციელება აქვთ დავალებული, — იუწყება დე ფაქტო შსს.**

**ინტერპრესნიუსი**

# ნუთისოფელი

## ● მამიდას ჩემს მხარზე ჰქონდა ხელი მოჭერილი. ლოყაც მხარზე მოედო, თითქოს მონატრებული მემლექეთი ვიყავი



◎ გულწრფელი წიგნი

### გამომშვიდობება ბურსაში

ამასობაში ბურსას გარეუბანის „ქართული სოფლიდან" ჩვენი მწერლები და ბურსელი ჩვენებურები დაბრუნდნენ. ჯერ ნოდარ დუმბაძე შემოიჭრა, ასიე-ბიბის მივარდა და კიდევ ერთხელ მოეხვია. ბიბი მომიბრუნდა, — ჭოვ, ე კაცი რაცხა ჩვენ ჯილაგიდან ხომარაა. ჩვენ გვგავს ძალიან, — ხოშორი წარბები და ჰემ (თანაცძ რაცხა ხისიმია ჰელზეთ (ნათესთვიაძ ჰო?

— მაგი თიფლისელი დიდი მწერალია, ბიბივ. მაგის დაწერილს წეიკითხავ და სიცილით გაგორდები.

— აბა, მას ცრემლები რატომ აქ?

— შენ აატირე, ბიბივ.

კარლო კალაძემ, ცალკე ამახვილსიტყვებულმა, იქ მყოფნი გაამხიარულა. აქო წეღანდელი სოფელი და სულ იმას იმეორებდა, ღვინის მაგიერ მაწონი როგორ დაალევინეს.

თვალებდაწკურული ბესო თითქოს სულ ალმა, სხვაგან აცეცებდა თვალებს, სინამდვილეში იქვე მასპინძლებს ათვალიერებდა, იოსები და მედიკო ხალიჩაზე ისხდნენ ფეხმორთხმით, ყავას მიირთმევდნენ (იქნებ — ჩაის?ძ.

მამიდას ჩემს მხარზე ჰქონდა ხელი მოჭერილი. ლოყაც მხარზე მოედო, თითქოს მონატრებული მემლექეთი ვიყავი.

არჩილ სულაკაური და მისი მერი კედლებზე სურათებს ათვალიერებდნენ. ყველანი ბავშვებივით გულაჩუყებულები, გახარებულები, ბედნიერები ვიყავით. სულ არ ვიცნობდით ვისაც შევხვდით, მაგრამ თითქოს დიდი ხნის მონატრებულს დიდი ხნის შემდეგ შევხვდით და ეს მოულოდნელი შეხვედრა, ეს ჩვენიანის სახლი, სადღაც ბურსაში, ასე ქართულად მორთული, ჩვენი ნახვის სიხარულმა უფრო ახლობელი გახადა.

ყველაზე ჩუმად ახმედი მეჩვენა. ის სიხარულით დაბნეული ჩანდა, თან ისიც ხომ იცოდა, ჩვენს შეხვედრას შორიახლოდან, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, თურქულ-რუსული უშიშროების თვალყური დასდევს.

საქართველოს ქართველები, საჭმელ-სასმელებით ნამეტნავად თავის მომწონენი (ზოგჯერ უზომოდ, მოუფიქრებლად, უმიზნოდ ვჯოლგავთ და ვხარჯავთ ხორაგს. სასმელზე ხომ ჩვენში ზომა-წონის გრძნობა აღარააძ უცხოეთში მოხვედრილნი (იქ ჩვენზე მეტი აქვთ, მაგრამ მომჭირნეობენ და ამიტომ გეგონება შენდენიც არა აქვთძ განვიცდით უკმარობას. ჯიბის კუნჭულში მიზუზტულ გროშს დავაძრობთ და ვზორიალობთ დამატებით რამე სასმელის მოსატანად. აქ, თურქეთში, სხვა ამბავია. ჯერ ხომ მუსლიმანს ღვინო ისედაც ეკრძალება, უბრალოდ ცოდვად ეთვლება დალევა, ამიტომ სტუმართან მისი გამოტანა ხშირ შემთხვევაში არ მიაჩნიათ აუცილებლად. მეორეც — ევრო-ამერიკული კულტურის გავლენითაც, ხელგაშლილობა (ჩვენებური გაგებითძ მიღებული არაა.

ამიტომ ჩვენ თვითონ მოვიძექეთ. მე, მაგალითად, ბოთლი „ვარციხე" ხელჩანთაში აღმომაჩნდა. ზოგი გარეთ გაძვრა და შემოიტანა. ასე რომ, მალე ახმედ მელაშვილის სახლში, ბურსაში ქართული ქეიფისნაირი ჟრიამულიც კი მოვრთეთ.

— თქვენ იქ ბევრს სვამთ ხომ? — ჩუმად მეკითხება ახმედი და გადარეული შესცქერის კარლო კალაძეს (იგი ზომა-წონით გვჩაგრავდაძ, რომელიც თითქმის ჩაისჭიქისოდენა ჭურჭლით კონიაკისნაირ რომელიღაც დასალევს ისხამდა პირში. როცა ერთ ყლუპს ჩიჩვირებში ჩააყუტყუტებდა, ტუჩებს მოილოკავდა და ორივე გაშლილ ხელს ვეებერთელა მუცლის მინდორზე დაიტაშუნებდა და იქაურ ჩვენებურებს გადასძახებდა — აი, როგორი მაძღარია სოციალიზმი! — თანაც ბაღანასავით ჩაიკისკისებდა.

გათენება ახლოვდებოდა. წასვლაზე კი არავინ ფიქრობდა. არადა, დილაიალუნზე ავტობუსით იზმირისაკენ უნდა გავემგზავროთ. ბოლოს, როგორც იქნა, ავიშალენით და შვებით ამოიხვნეშეს ქალებმა.

ადგა მამიდაჩემი, ხელი შემომხვია და გვერდით მიმაყენა. ფორკა-კაბაიჩლოლის შიგანგარებში რაღაცის ჩიჩქნა-ძებნა დაიწყო. თან ხმის კანკალით მეუბნება : — ჭოვ, იქ თურმი, სხვა დუნიაში წასულებს ფარებს (ფულებსძ არ გაძლევენ და პაწაინა მენა მოგვცენა. — ამოაკანკალა საიდანღაც დაჯღურკული ლირები და გამჩდალი ხელით დაწერიხელი ქაღალდი გამომიშვირა. ჩემკენ გამოწვდილი მისი ხმელი ხელი ჩემი ხელით ფრთხილად მოვჭაჭვე და გულისფიცარზე მივიდე.

— არა, ბიბივ, მე მაგარი კომუნისტი ვარ და ფარა მაგრადაც მომცეს. შესაბრალი ჰეჩ (სულაცძ არ ვარ. უხმოდ ჩაიკისკისა და ერთხელაც (უკანასკნელადძ ჩამიხუტა. ბაგეები უთრთოდა, მოსველებული თვალები მომჩერებოდნენ და ველარაფერს ამბობდა.

იალუნზე ჩვენი ავტო ძალაძს გასცდა. სარკმელთან ვიჯექი. ბურსა უკან რჩებოდა. მინდვრებში გლეხები ამოძრავებულიყვნენ. ხვნა-თესვა მთავრდებოდა. ერთ ალაგას, ტრიალ მოხნულ მინდორზე, ხე დავინახე. მაღალს და ოდნავ მოხრილს, წვერში, ბუჯგად შერჩენილ მწვანეზე გვიანი ყვავილები თეთრ ლეჩაქად ეხურა. ის ხე მამიდაჩემს ძალიან მივამგვანე...

**29.03.06**

სოფელში, დღეს, სამ საათზე, შუადღისას, უცებ ქვეყანას ლიბრი გადაეფარა. ვისრისე თვალები, — ხომ არ მჭირს რამე? მერე შეწუხებული მზე ველარ ვიცანი. მერე, — ვიფიქრე — სიბერე მჯაბნის ან რაღაც ხდება კოსმოსში. თურმე მზის დაბნელებაა, რაშიც ნალვარევლმა გლეხმა დამარწმუნა, ის გულადის ეზოში ქირიშს თლიდა ცულით.

წინ რომ საკმაო დრო მეგულებოდეს, სტამბულის იმ ჰოტელ „კენედიში" ყოფნაზე მთელ წიგნს დავწერდი. ახლა მეჩქარება.

ჰაიდარ ზენგინი (კორტანიძეძ, პირველი სტამბულელი ჩვენებური, დღეების უკან, ბათუმში შემახვედრეს. ძველი მაჭახელელია.

ახლა ხუთნი ძმანი, სტამბულში ცხოვრობენ. უფროსი ძმა, ხასანი, მშენებელ ფირმა „ჭოროხს" განაგებს. მთელი უბანი აუშენებიათ. ხასანის ტელეფონი ვიცი. — დავურეკე. შეიძახა, ვიცი, ვიცი! რომელ ჰოტელში ხართ? ჰაიდარ კორტანიძის უფროსი ძმა. იმ მოკლე ნახვისას ჰაიდარი მომეწონა, მესიამოვნა მისი გულითადობა, მისი თავდაჯერებული ჩვენებურობა. ისეთი რამეები მითხრა თავის სტამბულურ ცხოვრებაზე, ძმებზე, იქაურ ქართველობაზე, წელში გავიმართე.

ნუ დაივიწყებ, — მე თითქმის ორმოცი წლის წინანდელს ვიხსენებ ამბავს. მაშინ ჩვენ თურქეთელ ქართველებზე მარტო ლეგენდები გაგვეგონა, ნამდვილის გაგებას რომელი ჩვენგანი გაბედავდა. იმ ხანებში სადღაც ერთი თბილისელი კინოდოკუმენტალისტი (პატარაიაძსაფრანგეთიდან, ფრანგული პირადობის საბუთებით, შევიდა თურქეთში და ქართულ ძველ ძეგლებთან მიახლოება შეძლო. გადაიღო საბჭოურ დროში პირველი ასეთი ფილმი. იქიდან რაღაც ნაწილის ჩვენების ნება დართეს.

და, აი, ცოცხალი, ნამდვილი თურქეთელი ქართველი მოვიდა ჰოტელ „კენედისთან". დაგვინახა და მაშინვე, მგონი, თურქთა გასაგონად ხმამაღალი ქართულით გაგვესაუბრა. თითო-თითოს მოგვეხვია. მშვენიერი ქართულით გვამცნო: მე ფრიდონთან მუველ, ჰამა თქვენ ყველაი ჩემი ხართ, ყველაი მენატრებით, ყველაი მინდოდით. გული აქეთ მეწიკებოდა. მოვრბოდი, ვითამ სულთელ საქართველოსნა ჩავხუტებოდი. რა კაიები ხართ, რა ძალიან შეხედულები. რა სიტყვები გაქვან. ჩვენ აქა იმდენ ჩვენებურ სიტყვას ველარ ვქონიობთ. ჰამა (მაგრამძ რავარც გევგონებთ ქართულს, მაშინვე სულგულში თავებს წამოყოფენ ძველაი მიმოთესილი ხმები და ნათქვამები, ერთმანეთს მიაგორ-მოაგორებენ და მოამცრევენ, დაამურგვებენ სიტყვებად და ავლაპარიკდებით ისე, რომ ველარვინ გაგვაბუცებს.

დღესნა ჩემთანნა წოვდეთ (წავიდეთძ, ბაბა-ნენე ბერები (მოხუცებიძ არიან და ძალვან შემეხვეწენ, ერთი ნამდვილი საქართველოს ქართველი დამანახვეთ და მისი გამაგონეთო.

*   *   *

სტამბულელ ზენგინ-კორტანიძეებთან დაუვიწყარი საღამო გამოგვივიდა. დიდ ზალაში ხუთი ძმის ოჯახები და ახლობლები შეიკრიბნენ. იმდენი სტამბულელი ქართველი მოვიდა, გახარებული და ერთგვარად დაძაბულებიც ვართ. მე, როგორც უფრო შინაური, მივმართავ ბესო ჟღენტს: — ბატონო ბესარიონ, იქნებ ერთი ლექსის საღამო გავმართოთ და თქვენ გაუძღვეთ?! — ყველას მოეწონა ასეთი წინადადება, ჟრიამულში გადატაშუნებაც გაისმა.

კორტანიძე-ზენგინების დედმამა შუაში დაესვათ, დედას თინთილაშემოვლებული თავსახურავი (იაზმაძ ეხურა, მამა უცნაურად დაძაბული, თვალებში ჩაგვცქეროდა თითოეულ ჩვენგანს და ჩვენგანის მიერ ხმამაღლა გამოთქმულ რაიმე სიტყვაზე ცრემლს ვერ იკავებდა. ამიტომ მაშინვე დამუჭულ ცხვირსახოცს ხან ერთ თვალში ამოისვამდა, ხან მეორეში.

უცებ ხასან კორტანიძე ყურში ჩამჩურჩულებს, — სტამბულის მერიც ჩვენებურიაო (ე.ი. ქართველიძ და ახლა ტელეფონით მელაპარიკა, მოსვლა უნდა, მარა... დღეს (1968 წლის მაისის, მგონი, 15-20 რიცხვიძ სტამბულში სასინჯი პირველი ტელეგადაცემა ეწყობაო, რომლის ინიციატორი და მეპატრონეც ჩვენებურია. — მომახარა ხასან ზენგინ-კორტანიძემ.

**8.4.06**

ეს წუთია ვახტანგ ღლონტი მირეკავს, — ჩვენი ზურაბი აღარ გვყავსო. (ტანმა მიგრძნო, — „ჩვენი ზურაბი" სხვა ვიზე ითქმებოდა, — ეს გორგილაძეა!ძ დიახ, გორგილაძეო.

დამეფუშა ჩემთვის მოჭუჭკულ-მოთვინიერებული ფიქრის და იმედის სამყარო. გუშინწინ თავად მირეკავდა, თან ტირილივით ჩაიკირკილა: ყურმილში, — რა გემრიელი სამყურა მოგიძღვნია ჩემთვისო, და თავადვე წამიკითხა:

**მიყვარს ნაავდრალი მთები, მთები ნისლებაჩალული.**
**კვნესით დახნულ-დანათესი, იარებით დაშარული,**
**როგორც გორგილაძის ლექსი, დიდქართული, აჭარული.**

*   *   *

ის საღამო, სტამბულში ორი საქართველოს შეხვედრის საღამო იყო. დიახ, ნამდვილად ასეა!

იცით, საოცარი რა არის? — (აი, ახლა, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, ვაღიარებ, იქ მყოფი მასპინძლები, ასე გაუცხოებულ-გასხვაფერებული ჩვენებურები ხომ პირადად უფრო ჩემი ღვიძლები იყვნენ. ამიტომ ყველაფერს მწვავედ უფრო მე განვიცდიდი. მე ვღელავდი, მე ვამაყობდი, მე ვტიროდი, მე ვზეიმობდი, მე ვწუხდი, მე ვქუხდი, მე სულ ახლოდან ვხედავდი წარსულს, მე შიგ ვიდექი აწმყოშიც, მომავალშიც. მე მიყვარდა ჩემი უბედურება, რომელსაც ახლა თითქოს ბედნიერების წუთები ღმერთმა უწყალობა.

ბესო ჟღენტი მომიწოდებს: აბა, შენ გახსენი შენი ლექსით ჩვენი საღამო. შენი სიტყვა მოუხდება და შეამკობს ახლა ამ შეხვედრას. შენც ხომ ერთი ამათგანი ხარ!

და წავიკითხე „მე არ ვიქნები შენი სტუმარი". გავსინჯე, აჭარის გულიდან ამონახეთქი გრიგალი იმათ გულსაც თუ ააფორიაქებდა. თუ იგრძნობდნენ და თუ მიხვდებოდნენ რაზეა ლაპარაკი, როცა ვამბობ — **„მე ჭოროხგალმა ორი სოფელი დამრჩა ნახევარ ქართლისოდენა"**, ან — **„რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი, ჭოროხს მეწამულ ფერში უვლია, საქართველოში ალბათ კალმახი მიტომ სისხლისფრად დაწინწკლულა"**, ანდა — **„მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ და შენი ზეცის ერთი მერცხალი"**. იქაურთა სახეებს რომ შევხედე, ამეტირა.

(გაგრძელება იქნება)

ფრიდონ ხალვაში

# ომარი

დოკუმენტური მოთხრობა



გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 183-208.

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

## უცხოური პრესა

● პრეზიდენტს ეშინია ხალხის, ირწმუნება ოპოზიცია. და მართლაც, სააკაშვილის უახლოესი თანამოსაგრეები მთელ რიგ უცნაური შინაარსის განცხადებებს აკეთებენ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# სააკაშვილის ფქვილით სავსე ტომარა, თუ პატარკაციშვილის ფული?

***როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას ხალხის მხარდაჭერის იმედი აქვს. თბილისის ცენტრში მოვლენათა განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენ მომხრეს შეკრებს ქალაქის ცენტრში ოპოზიცია, რომელიც ხალხს ფართომასშტაბიანი მიტინგის გამართვას პირდება. და ამ საქმეში, შესაძლოა, დიდი როლი შეასრულოს ფულმა, რომლის გამოყოფასაც პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებს პირდება ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. აგრეთვე თვით მიხეილ სააკაშვილმაც, რომელმაც გასცა განკარგულება, რომ მოსახლეობის ღარიბეს ფენებისთვის დაერიგებინათ გაზის და ელექტროენერგიის ვაუჩერები, აფხაზეთიდან ლტოლვილებისთვის კი — შეშაც.***

საქართველოში უკვე ახლა ფაქტობრივად მიმდინარეობს ორი ფინანსური ნაკადის თავისებური შეტაკება. ერთი მხარეს არის პატარკაციშვილის ფული, მეორე მხარეს კი 50-50 ლარის ღირებულების ვაუჩერები, რომლებსაც სააკაშვილის ინიციატივით მთავრობა ამ დღეებში ურიგებს ხელმოკლე მოქალაქეებს. სუბსიდირების სამთავრობო პროგრამა მოიცავს ქვეყნის პრაქტიკულად მთელ სოფლის მოსახლეობას, დახმარებებს მიიღებს დაახლოებით 2 მილიონ 800 ათასი კაცი. ოფიციალურად, ეს უნდა მოხმარდეს ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადების კომპენსაციას. იმ რაიონების მცხოვრებლები კი, რომლებიც არ არის გაზიფიცირებული, მოსახლეობა „გაზის“ ვაუჩერების ნაცვლად თითო ტომარა ფქვილს მიიღებს.

საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ეროვნულ საბჭოში, რომელიც 2 ნოემბერს საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს, მოსახლეობას მოუწოდებენ არ მიიღოს ასეთი „დამამცირებელი დახმარება“. „50-50 ლარის დარიგებით ხელისუფლებას იმედი აქვს, ხალხი არ მივა 2 ნოემბრის მიტინგზე. ამ აქციის ჭეშმარიტი მიზანია ის, რომ როგორმე ჩააცხრონ ხალხის უკმაყოფილება, მოიმადლიერონ იგი ასეთი „უმნიშვნელო საჩუქრით“ და ნებისმიერი გზით სცადონ თბილისში დაგეგმილი მიტინგის ჩაშლა“, — მიაჩნია „დემოკრატიული ფრონტის“ ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენელს, კონსერვატორ — დეპუტატს კახა კუკავას.

ხელისუფლება, რა თქმა უნდა ამას უარყოფს და თავის მხრივ აღნიშნავს, რომ მთავრობა შემდგომშიც განაგრძობს სოციალურ პროგრამათა განხორციელებას, და ამავე დროს არც იმას გამორიცხავს, რომ პატარკაციშვილის მიერ გამოყოფილი ფულით ოპოზიციამ, შესაძლოა, მოიზიდოს ხალხი მიტინგზე მისასვლელად. პატარკაციშვილის გადაწყვეტილებამ აქციის დაფინანსების შესახებ, სერიოზულად ჩააფიქრა საქართველოს ხელისუფლება. მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში სასწრაფოდ შეკრიბა პარლამენტის აქტივი. მცირე ინფორმაცია გვაქვს იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რაზე ელაპარაკა სახელმწიფოს მეთაური დეპუტატებს. სატელევიზიო ტრანსლაცია და პრეზიდენტის კომენტარი ამ შეხვედრას არ მოჰყოლია, თვით მონაწილეები კი ამჯერად საოცრად სიტყვაძუნწი იყვნენ. მათ მხოლოდ ის დაადასტურეს, რომ საქმე ეხებოდა ამჟამად შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, ზუგდიდში ცოტა ხნის წინათ დატრიალებულ მოვლენებს, სადაც ოპოზიციის მიტინგის მონაწილეებს სასტიკად სცემეს, და, რა თქმა უნდა, ბადრი პატარკაციშვილის ახალ როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ დაადასტურა, რომ განიხილეს ოლიგარქის მიერ გამოყოფილ ფულთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, ბოკერიამ აღნიშნა: „პატარკაციშვილისთვის რაიმე საკანონმდებლო შეზღუდვები არ დაწესდება“. მისი თქმით, პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების შესახებ, რათა ისინი აღარ იყვნენ დამოკიდებული გარეშე ძალებზე. მაგრამ, თუ რომელიმე პარტიას სურს იყოს სათამაშო ვინმეს ხელში, ეს მისი საქმეა.

თავის მხრივ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა მაია ნადირაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პატარკაციშვილის მოქმედებას აქტიურად დაუჭირეს მხარი სოხუმსა და მოსკოვში.

საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად თბილისს მოავლინეს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენიელ ფრიდი. ხუთშაბათს იგი ორ საათზე მეტ ხანს ხვდებოდა ოპოზიციის ლიდერებს. თუმცა, ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს მოეპოვებინათ რაიმე ინფორმაცია ამ შეხვედრის დაწვრილებითი დეტალების შესახებ.

ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ ასეთი განცხადება გააკეთა: „ჩვენ გავაცანით დენიელ ფრიდს ქვეყანაში შექმნილი ვითარება და განვუცხადეთ, რომ აქ ილახება ადამიანის უფლებები, არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლოები და სხვა. ერთი სიტყვით, უთხარით ყოველივე ის, რაზეც ვლაპარაკობდით ამ ბოლო ხანებში და რასთან დაკავშირებითაც ვმართავთ მიტინგს ლოზუნგით „საქართველო-პრეზიდენტის გარეშე“.

**ანატოლი გორდიენკო,**
**იური სიმონიანი**

**(იბეჭდება შემოკლებით)**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# საქართველოში ახალ „ვარდების რევოლუციას“ ელიან

***2 ნოემბრისთვის დანიშნული მასობრივი ანტისამთავრობო დემონსტრაციების წინ საქართველოს ხელისუფლება პანიკამ მოიცვა და ამის დამალვას არც კი ცდილობენ. ისე, რომ არც კი დალოდებია საპროტესტო აქციას, პოლიციამ გადაკეტა რეგიონებთან თბილისის დამაკავშირებელი მაგისტრალები. მიზანი გასაგებია — შეუშალონ ხელი დედაქალაქში პროვინციებიდან „ძირგამომთხრელი ელემენტების“ ჩამოსვლას. 31 ოქტომბერს ღამით სპეცსამსახურების თანამშრომლებმა განახორციელეს კიდევ ერთი სპეცოპერაცია — როგორც ოპოზიციონერები ამტკიცებენ მათ ძალდატანებით გამოიყვანეს სახლიდან ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და ასევე ძალდატანებით გაამგზავრეს საზღვარგარეთ. 2 ნოემბერი საპროტესტო მარშისთვის შემთხვევით არ შეურჩევიათ. 4 წლის წინათ სწორედ ამ დღეს დაიწყო „ვარდების რევოლუცია“, რომელსაც პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა. დღეს კი გამარჯვებულები ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.***

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ მარტო თბილისში, პარლამენტის შენობის წინ სულ ცოტა 100 ათასი კაცი მაინც შეიკრიბება. ყველა დაბრკოლების მიუხედავად, უკვე დაიწყო „მარში თბილისზე“. ქვეყნის ყველა დიდი ქალაქიდან დედაქალაქისკენ დაიძრნენ ავტომობილების კოლონები, რომლებსაც „რევოლუციონერები“ ჩაჰყავთ თბილისში. დემონსტრაციები დაგეგმილია თვით საპყრობილეებსა და კოლონიებშიც კი. გარდა ამისა, დემონსტრაციების გამართვა გათვალისწინებულია საზღვარგარეთაც: სტრასბურგში, ათენში, ბერლინში, ტორონტოში. ლოზუნგი არის ერთი: „არ მეშინია!“. მოთხოვნაც ასევე ერთია — რიგგარეშე პარლამენტის არჩევნების გამართვა.

— მიტინგები მშვიდობიანი იქნება. ხალხი არ დაიშლება მანამ, მანამ პრეზიდენტი არ გამოაცხადებს ახალი არჩევნების გამართვის ვადებს, — აღნიშნა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.

11 ოპოზიციური მოძრაობა გაერთიანდა ეროვნულ საკოორდინაციო საბჭოში. მისი ლიდერები მოითხოვენ საქართველოს გამოცხადებას საპარლამენტო რესპუბლიკად. მაგრამ ახალ რევოლუციას მაინც ჰყავს ბელადები. ესენი არიან ზურაბ ჟვანიას მთავრობის სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, საქარველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცი — ბადრი პატარკაციშვილი.

მილიარდერმა უკვე განაცხადა, რომ თვითონ გაიღებს საპროტესტო აქციის გამართვისთვის საჭირო ხარჯებს. იმ მიზნით, რომ მთავრობის მხრიდან შესაძლო თავდასხმებისგან დაეცვა ოპოზიცის რუპორი — „ტელეკომპანია „იმედი“, პატარკაციშვილმა თავისი აქციების ნაწილი გადასცა ავსტრალიელ მედია-მაგნატს რუპერტ მერდოკს და მის კუთვნილ News corporation კომპანიას.

ოპოზიცია თითქმის იმეორებს იმ სცენარს, რომლის წყალობითაც მოხვდა ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი. 2003 წლის შემოდგომასთან ანალოგი კიდევ უფრო გააძლიერა იმანაც, რომ თბილისში კვლავ ჩამოვიდა შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი. თუ მაშინ შევარდნაძე შეხვდა ჯეიმს ბეიკერს, ახლა სააკაშვილს მოუწევს საუბარი სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან დენიელ ფრიდთან.



ოპოიმისტები ვარაუდობენ, რომ ფრიდი დაიყოლიებს პრეზიდენტს დათმობაზე. ვაშინგტონს ისე მოაბეზრა თავი უმართავმა სააკაშვილმა, რომ ამერიკელები ეცდებიან დაეხმარონ ოპოზიციას პარლამენტზე კონტროლის დამყარებაში. ამაზე, პრინციპში, მოსკოვშიც თანახმა არიან. მით უმეტეს, რომ როგორც სააკაშვილის ოპონენტებს მიაჩნიათ, ნამდვილად არ არის ნორმალური რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა.

პესიმისტები მოითხოვენ გარკვეულ დაზღვევას ყოველგვარი მოულოდნელობებისაგან. ისინი, კერძოდ, აცხადებენ, რომ მიტინგების დროს დაცული უნდა იყოს წესრიგი იმის მიუხედავად, თუ რამდენ დღეს გასტანს ეს აქციები. წესრიგი უნდა უზრუნველყოს სპორტსმენებით და ყოფილი პოლიციელებით დაკომპლექტებულმა 500-კაციანმა ჯგუფმა. ქალთა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას სურს თავისი წევრები განალაგოს მიტინგის გამართვის ადგილის მთელ პერიმეტრზე, რათა ასეთი გზით აღკვეთონ პროვოკაციები. მაგრამ აქციის მონაწილეები ამას ეწინააღმდეგებიან. მმართველი პარტია კი ისე იქცევა, თითქოს მას არ ეხებოდეს ყოველივე, ის რაც ქალაქში ხდება. თუმცა, ასეთი გულგრილობა აშკარად მოჩვენებითია. მობილიზებულია პოლიციის თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა, დედაქალაქში გამოიძახეს არმიის ათასობით რეზერვისტი. პოლიციელები საქალაქთაშორისო ავტობუსების მძღოლებს ართმევენ ტექნიკურ პასპორტებს, დახურულია რკინიგზის სალაროები. სერიოზული ზემოქმედების მოხდენას ცდილობენ სტუდენტებსა და პედაგოგ-მასწავლებლებზე. თუ ისინი გამოჩნდებიან მიტინგზე, სტუდენტებს გარიცხავენ უმაღლესი სასწავლებლებიდან, პედაგოგებს კი — დაითხოვენ სამსახურიდან.

პრეზიდენტს ეშინია ხალხის, ირწმუნება ოპოზიცია. და მართლაც, სააკაშვილის უახლოესი თანამოსაგრეები მთელ რიგ უცნაური შინაარსის განცხადებებს აკეთებენ. თბილისის მერმა გიგი უგულავამ რატომღაც გააფრთხილა ხალხი, რომ ქალაქის ცენტრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო რუსთაველის პროსპექტზე ძალზე დიდი რაოდენობითაა დაგროვილი მოსაპირკეთებელი ქვები. ხელისუფლების პარტიის ერთ-ერთმა იდეოლოგმა გიგა ბოკერიამ კი ფრიად სერიოზულად განაცხადა: „ღმერთი არ გაუწყრეს ვინმეს და ძალადობას არ მიმართოს“.

თვით მიხეილ სააკაშვილი კი ერთი ქალაქიდან მეორეში ჩადის და საზეიმო ღონისძიებებსა და კონცერტებზე შეკრებილ ხალხს ჰპირდება უკეთეს ცხოვრებას, თანაც, არც სალანძღავ სიტყვებს იშურებს ოპოზიციონერთა მიმართ, რომლებსაც „ხალხის მტრებს და მოღალატეებს“ უწოდებს. პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი ყოველივე ამან მოთმინებიდან გამოიყვანა: „ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას სააკაშვილს, რომ ჰიტლერის სტილში ასეთი გამოსვლები დიდ ზიანს აყენებს მის იმიჯს. ბოლოს და ბოლოს, ამ ადამიანს არ უნდა დაავიწყდეს, თუ რა ბედი ეწია ფიურერს“.

**ალექსანდრე იაშვილი**

**(იბეჭდება შემოკლებით)**

ИЗВЕСТИЯ

• შეერთებული შტატების ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილის ჟაკ განსლერის თავმჯდომარეობით მოქმედმა დამოუკიდებელმა კომისიამ ამ ქვეყნის არმიაში გამოავლინა თაღლითობისა და დატაცების არაერთი ფაქტი

**გაცნობებთ, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად 2007 წლის 12 ნოემბერს დანიშნულია აუქციონი გარდაბნის რ-ში, თელეთის საკრებულო, სოფ. წალასყურში მდებარე შპს „თელეთი XXI საუკუნეს“ უძრავ-მოძრავ ქონებაზე:**

1: ნედლეული: ეტიკეტები;
2. აბაზანა გასაფუფქი;
3. ალუმინის ვანა 14 ც.;
4. ამრევი დიდი;
5. ამრევი პატარა;
6. ელ. ნასოსი 2 ც.;
7. ელ. ძრავი 16 ც.;
8. ფეხის საჭრელი;
9. ინკუბატორი 2 ც.;
10. კისრის საჭრელი;
11. კონტეინერი 1-40 ც.;
12. კონვეიერი 140 ც.;
13. კონვეიერის დამჭიმი;
14. კუჭის გამსუფთავებელი;
15. კუჭის საჭრელი;
16. მაცივარი 5 ც.;
17. მაცივრის აგრეგატი;
18. მაგიდა უჟანგი ფოლადის 4 ც.;
19. მართვის კარადა 2 ც.;
20. პუშკა;
21. ქათმის დასაკიდი ურიკა 10 ც.;
22. ქათმის გამაბრუებელი;
23. ქვაბი ჟ4 ფრა;
24. რედუქტორი;
25. საბურავი ტრაქტქორის 2 ც.;
26. საკვების დამრიგებელი ტროსი;
27. სამაცივრო დანადგარი;
28. სანაყინე მაცივარი 11 ც.;
29. სარეცხი მანქანა;
30. სასაკლაო საქვაბე დანადგარი;
31. სასკლაო ხაზი;
32. სასწორი;
33. სასწორი პატარა 2 ც.;
34. ტრაქტორი;
35. ტრაქტორი ტ16;
36. ურიკა 10 ც.;
37. ურიკა რკინის 18 ც;
38. წყლის ავზი (გარეძ 4 ც;
39. წყლის ბაკი 5000 ლ;
40. წყლის ფილტრი;
41. წყლის რეზერვუარი 2 ც;
42. წყლის ტუმბო 11 ც;
43. წყლის ვანა;
44. ხის მაგიდა 5 ც;
45. დიზელ-გენერატორი 2 ც;
46. ელ. გაყვანილობა;
47. ელ. კარადა;
48. გათბობა;
49. ქვაბი ე-1/900;
50. ტრანსფორმატორი;
51. წყალგაყვანილობა;
52. ადმინისტრაციული შენობა; – მიწის ფართი – 96 კვ.მ.
53. ფურაჟის საწყობი;
54. ინკუბატორის შენობა; – მიწის ფართი – 310 კვ.მ.
55. მავთულბადის ღობე;
56. მისასვლელი გზა;
57. საბრიგადო სახლი; – მიწის ფართი – 280 კვ.მ.
58. სადიზელე შენობა;
59. საფრინველე შენობა №1; – მიწის ფართი – 539 კვ.მ.
60. საფრინველე შენობა №10; – მიწის ფართი – 620 კვ.მ.
61. საფრინველე შენობა №11; – მიწის ფართი – 776,4 კვ.მ.
62. საფრინველე შენობა №2; – მიწის ფართი – 539 კვ.მ.
63. საფრინველე შენობა №3; – მიწის ფართი – 620 კვ.მ.
64. საფრინველე შენობა №4; – მიწის ფართი – 620 კვ.მ.
65. საფრინველე შენობა №5; – მიწის ფართი – 620 კვ.მ.
66. საფრინველე შენობა №6; – მიწის ფართი – 620 კვ.მ.
67. საფრინველე შენობა №7; – მიწის ფართი – 620 კვ.მ.
68. საფრინველე შენობა №8; – მიწის ფართი – 620 კვ.მ.
69. საფრინველე შენობა №9; – მიწის ფართი – 620 კვ.მ.
70. სამაცივრე მეურნეობა;
71. სასადილოს შენობა; – მიწის ფართი – 240 კვ.მ.
72. სასაკლაოს შენობა; – მიწის ფართი – 1175,52 კვ.მ.
73. საყარაულო ჯიხური;
74. შესასვლელი დეზობარით;
75. სალარო აპარატი:

**შენიშვნა:** უძრავ-მოძრავი ქონების მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის თაობაზე შეგიძლიათ მიმართოთ გაკოტრების მმართველს.

აუქციონზე გასატანი უძრავ-მოძრავი ქონების საერთო ღირებულება შეადგენს 365 000 ლარს.

შემძენის მიერ თნახის 2/3-ის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონის ჩატარების დღესვე, ხოლო დარჩენილი 1/3-ის აუქციონის ჩატარებიდან 14 დღის ვადაში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ არაუგვიანეს 2007 წლის 9 ნოემბრამდე ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას 6, ბინა 36-ში, 10-18 სთ-მდე. განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობა (ფიზიკური პირის შემთხვევაშიძ, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით, იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 12 ნოემბერს 11 საათზე ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას 6, ბინა 36-ში.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ შპს „თელეთი XXI საუკუნეს“ გაკოტრების მმართველს გიორგი ზედელაშვილს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას 6, ბინა 36-ში, 10-18 სთ-მდე.

# განჩინება

## კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე

**29 ოქტომბერი 2007 წელი ქ. თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბესიკ სისვაძემ, ზეპირი მოსმენის გარეშე, ერთპიროვნულად განიხილა შპს „საქართველოს ავიახაზების“ მიმართ გახსნილი გაკოტრების საქმეზე კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი.**

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12, მე-15, 22-ე მუხლებით, საქართველოს სსკ-ის 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1.შპს „საქართველოს ავიახაზების“ მიმართ გახსნილი გაკოტრების საქმეზე მოწვეულ იქნას კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით: შპს „საქართველოს ავიახაზების“ გაკოტრების მმართველის თანამდებობიდან განთავისუფლდება და ახალი მმართველის არჩევა-დამტკიცება;

2.კრედიტორთა კრების ჩატარების დროდ და ადგილად განისაზღვროს 2007 წლის 9 ნოემბერი 11 (თერთმეტიძ საათი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მდებარე თბილისში, ძმთევან წამებულის ქ.№1-ში;

3.განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები არაუგვიანეს 2007 წლის 2 ნოემბრისა გამოქვეყნდეს პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც;

4.განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე: ბესიკ სისვაძე**



# ამერიკის არმიაში 4 მილიარდი დოლარი დაიტაცეს

**შეერთებული შტატების ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილის ჟაკ განსლერის თავმჯდომარეობით მოქმედმა დამოუკიდებელმა კომისიამ ამ ქვეყნის არმიაში გამოავლინა თაღლითობისა და დატაცების არაერთი ფაქტი.**

კომისიის მეთაურმა გააკრიტიკა შეერთებული შტატების არმია იმის გამო, რომ იგი რიგიანად ვერ ასრულებს ერაყსა და ავღანეთის თავისი ჯარების მომარაგებისთვის დადებულ კონტრაქტებს.

ბრიტანეთის BBC ტელერადიოკორპორაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქმე ეხება წელიწადში 4 მილიარდი დოლარის თანხის კონტრაქტების დადებასა და შესრულებას, რომელთა მიზანიცაა ერაყსა და ავღანეთში ამერიკელთა კონტინგენტის უზრუნველყოფა.

კომისიის მიერ განხორციელებული გამოძიების თანახმად, კონტრაქტების შესრულებაზე დასაქმებულ არმიის სპეციალისტთა მხოლოდ მცირე ნაწილს თუ აქვს ამისთვის საჭირო კვალიფიკაცია. გარდა ამისა, შეიარაღებულ ძალებში არ არსებობს სათანადო კონტროლი ასეთ საქმიანობაზე.

როგორც კომისიის წევრებს მიაჩნიათ, საჭიროა დამატებით სულ ცოტა 2 ათასი კაცის მოზიდვა, რათა გაართვან თავი იმ დატვირთვებს, რომელიც 600 პროცენტით გაიზარდა.

თავის მხრივ, შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა განაცხადა, რომ „შეშფოთებულია იმ მრავალი შეცდომის გამო, რომლებიც დაფიქსირებულია კომისიის მიერ გამოტანილ დასკვნებში“, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პენტაგონი აპირებს საფუძვლიანად განიხილოს კომისიის რეკომენდაციები.

# ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, საბჭოთა კავშირთან ატომურ ომზე მეტად, თურმე უცხოპლანეტელებს უფრთხოდა

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს იმ დოკუმენტებიდან, რომლებსაც მოეხსნა საიდუმლო გრიფი, ჩანს, რომ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა 1950-იან წლებში დიდ ყურადღებას უთმობდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენის შესწავლას.**

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დოკუმენტების ვრცელი კომპლექსი მოწმობს, რომ უცხოპლანეტელთა შემოჭრის თვით უმცირესი ალბათობაც კი ამ უწყებაში უფრო დიდ შეშფოთებას იწვევდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის მხრიდან შეერთებული შტატებისთვის ბირთვული დარტყმის მიყენების შესაძლებლობა. ამოუცნობი მფრინავი ობიექტები და ფსიქოლოგიური ომის მეთოდების სფეროში დილეტანტური გამოკვლევები ნახევარი საუკუნის განმავლობაში არამარტო ამ ქვეყნის უმაღლესი წრეების წარმომადგენელთა გამუდმებული ყურადღების ობიექტი იყო, არამედ ამ საკითხის შემუშავებაში მეცნიერებისა და სამხედრო საქმის გამოჩენილი წარმომადგენლებიც კი მონაწილეობდნენ.

ავსტრალიური გაზეთის The Sydney Morning Herald-ის მიერ განხორციელებული გამოკვლევებიდან თუ ვიმსჯელებთ, ის შედეგები, რომლებიც გამოქვეყნდება შაბათს, აგრეთვე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დოკუმენტები, თვალნათლივ მიანიშნებენ, რომ 1950-იან წლებში ამერიკელი სამხედროები და მზვერავები აქტიურად აანალიზებდნენ შეერთებული შტატებისა და დასავლური დემოკრატების მიერ უცხოპლანეტელებთან კონტაქტების დამყარების ყველა შესაძლო ვარიანტს.

თუმცა, 1950-იანი წლების ასეთი აქტიურობის შემდეგ, აღინიშნა ამ სიუჟეტებისადმი ინტერესის სერიოზული დაქვეითება. ამავე დროს, ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ შეკრებილ დოსიეში მოხვდა სრულიად განსხვავებული ხასიათის მონაცემები, ამოუცნობი ობიექტებით დაწყებული, „რომლებიც დრო და დრო ჩნდებოდნენ კონგოში, ბელგიელთა კუთვნილ ურანის საბადოების თავზე“, და ნაცისტთა „მფრინავის თეფშებით“ დასრულებული.

როცა 1979 წელს The New York Times წერდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იკვლევდა უცნობ მფრინავ ობიექტებს, ამ სტატიამ იმდენად გაანაწყენა დაზვერვის მაშინდელი ხელმძღვანელი სტენსფილდ ტერნერი, რომ მან, როგორც ამბობენ, ასეთი კითხვით მიმართა თავის თანამშრომლებს: „ჩვენ მართლა ვიკვლევთ უცნობ მფრინავ ობიექტებს?“. გამოდის, რომ ხელქვეითებს ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაეცათ.

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

**და თუ ჩვენ მივისწრაფვით ჭეშმარიტი დემოკრატიისაკენ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სინდისის წინაშე ვართ ვალდებულები, არ შევუშინდეთ და ხმამაღლა განვაცხადოთ დასაბუთებული სიმართლე, რაც არ უნდა მწარე შედეგი მოჰყვეს ამას**



## ჟურნალისტური გამოძიება

(მეექვსე გვერდიდან)

### №5 – „დასაჩუქრებულნი“

**ზემოთხსენებული „საჩუქრების მიმღებებს“ წარმოადგენენ:**

რამდენიმე წლის წინათ შექმნილი სამშენებლო კომპანია შპს „ახალი სტილი“ და შპს „ევორდი“, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი გამოცდილება ჯანდაცვის სისტემაში მუშაობისა და რომელთა „მნიშვნელოვანი ღვაწლის“ შედეგია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სამამულო ბინათმშენებლობაში ფასების უპრეცედენტო ზრდა, და რაც შეეხება, კერძოდ, „ახალ სტილს“ – ეს ის კომპანიაა, რომლის მშენებარე საცხოვრებელ მრავალსართულიან სახლში 2006 წლის შემოდგომაზე, როგორც ყველასათვის ცნობილია, ჩამოინგრა სართულებს შორის რკინაბეტონის გადახურვა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ორივე შპს-ს უკან დგანან მმართველი პარტიის მაღალი რანგის მესვეურები.

ქვეყნის ფარმა-სადისტრიბუციო დარგში გიგანტების – შპს „ავერსი“ და შპს „პსპ“ ბიზნესის მთავარ დაუფარავ გეგმას წარმოადგენს სამედიცინო სტაციონარებისა და საავთიაქო საქმიანობის მონოპოლიზაცია, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია. სწორედ მათი ბიზნესინტერესების დასაკმაყოფილებლად ნადგურდებიან პედიატრიის და რეპროდუქტოლოგიის სამეცნიეროკლინიკური ინსტიტუტები.

### №6 – ხელისუფლების ახსნა-განმარტება

**შექმნილი მდგომარეობის გამო ხელისუფლება შემდეგნაირად გამოხატავს თავის პოზიციას.**

**ტატა ჭანტურიძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე:** – ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა დაფუძნებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შესრულებულ მრავალწლიან ტექნიკურ სამუშაოზე და მტკიცებულებებზე. შესაბამისად, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია მთავრობის დადგენილების განხორციელების პროცესის მართებულობის ეჭვქვეშ დაყენება.

**გიგი წერეთელი, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:** – საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცდა ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც მიმართულია ქვეყანაში ჰოსპიტალური სამედიცინო სამსახურების სიმძლავრეების განვითარებისაკენ, რაც დააკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებას ამ სახის მომსახურებაზე და იქნება ხარისხიანი და ფინანსურად მისაღები. კერძო სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების განვითარება უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად სამედიცინო მომსახურებებზე, ვიდრე სახელმწიფო დაფინანსებაზე არსებული საავადმყოფოებისა.

### №7 – სამედიცინო მუშაკთა პოზიცია

**არჩილ ხომასურიძე, აკადემიკოსი, ი. ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციის სამეცნიერო კლინიკური ინსტიტუტის დირექტორი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის საქართველოში დაფუძნებული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი:** – ჩვენი ინსტიტუტი წარმოადგენს მსოფლიოში უძველეს, თავისი დაარსების დღიდან (1958 წ.) რეპროდუქციის სამეცნიერო და კლინიკური პროფილის ორგანიზაციას. ბოლო წლების მაჩვენებლების მიხედვით ინსტიტუტი ყოველწლიურად 800 პაციენტს აღუდგენს ორგანიზმის შესაბამის ფუნქციებს, რაც ინსტიტუტის პერსონალისა და პაციენტთა რაოდენობის შეფარდებაში საერთაშორისო დონის მაღალი მაჩვენებელია. ინსტიტუტი ბოლო 15 წლის განმავლობაში ფუნქციონირებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოს, ფინანსური თვალსაზრისით ის არანაირ „ტვირთად“ არ აწევს და ამავე დროს ყოველწლიურად აქვს გარკვეული მოგება. სამწუხარო და დაუშვებელია, რომ პაციენტთა მომსახურება არის ფასიანი. ინსტიტუტის სამკურნალო კლინიკა ამჟამად მოიცავს 50 საწოლს, თუმცა იყო დრო, როცა საწოლთა რაოდენობა სამჯერ მეტი იყო.

2006 წლის 07.07. ი. ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციის სამეცნიერო კლინიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს – „მოგვეცით სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი შპს „ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის“ 100-პროცენტიანი წილის პრივატიზების უფლება პირდაპირი მიყიდვის ფორმით შრომითი კოლექტივებისათვის შეღავათიან ფასებში“. ამავე დროს ხსენებულ წერილში ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „ვფიქრობთ, ზედმეტია თქვენთვის იმის შეხსენება, თუ რა მძიმე დემოგრაფიული სიტუაციაა დღეს საქართველოში. არსებული ტენდენციების ასე გაგრძელების შემთხვევაში ქართველები ქვეყანაში შეიძლება უმცირესობაში აღმოვჩნდეთ, რაც კატასტროფის ტოლფასია.

**შპს ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის ინსტიტუტის პირველი პირი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი ლია ჟორჟოლიანი აღნიშნავს:** – ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალურ გეგმას გავეცანით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე... გენერალურ გეგმაში არ არის ასახული ცალკეული დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი გეგმა... ტენდერის პირობებს გავეცანი საგაზეთო განცხადებით. რაც შეეხება პედიატრიული ფაკულტეტის გაუქმებას, ეს რეფორმა დაიწყო გასული საუკუნის 90 წლებში და მიმდინარეობდა საკმაოდ აქტიური კამათითა და დისკუსიებით. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი შეიძლება თავისუფლად დაეუფლოს პედიატრიის პროფესიას, მხოლოდ პედიატრიის სწავლების საათები უნდა იყოს სრულყოფილი. ჩემი აზრით, გათვალისწინებულ უნდა იქნას უცხოეთის წამყვანი სასწავლო დაწესებულების სტანდარტები“.

# პრეზიდენტი და მისი „გუნდი“ ყიდიან ქვეყნისა და ერის მონაპოვარს, აბუჩად იგდებენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს

### №8 – გამოსავალი

**ჩვენ მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ერთადერთია – კანონის ფარგლებში დაუნდობელი ბრძოლა სამართლიანობის დასამყარებლად, ერის და მოსახლეობის აზრისა და პოზიციების ერთიანობა, რაც დღევანდელ საქართველოს მკაფიოდ ახასიათებს. ეს კი პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართველთა ერი გამოფხიზლდა და ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაში დამკვიდრებული შიშის სინდრომსა და გამყარებულ აქსიომას – ხელისუფლებაში „ბატონები“ არიან და ამ „ბატონების“ ნამოქმედარი უსიტყვოდ უნდა იყოს მისაღები, რაც მონობას ნიშნავს, წერტილი ესმება. ადამიანები მონებად არ იბადებიან. ეს ტრივიალური ჭეშმარიტება ნათელი უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტისთვის და მისი პარტიის წევრებისთვის, რომელთა ბატონობაზე ერი ერთხელ და სამუდამოდ უარს ამბობს, რაც სამაგალითო უნდა იყოს, ვიმედოვნებთ, ქვეყნის მომავალი ხელისუფლებისათვის.**

და თუ ჩვენ მივისწრაფვით ჭეშმარიტი დემოკრატიისაკენ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სინდისის წინაშე ვართ ვალდებულები, არ შევუშინდეთ და ხმამაღლა განვაცხადოთ დასაბუთებული სიმართლე, რაც არ უნდა მწარე შედეგი მოჰყვეს ამას, სამართლიანობისთვის ბრძოლა კი ყოველთვის დროული და უკომპრომისო უნდა იყოს.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ვალერი ლისოჩენკო,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

## გუშინ

# ვარდები ნისიად

(მეორე გვერდიდან)



ზემოთ ხალხი და ოპოზიცია ვახსენეთ. პირველის მოთხოვნა გაცილებით კატეგორიულია, ვიდრე ამ გრანდიოზული მიტინგის ორგანიზატორებისა, რომელიც ძირითადად საარჩევნო ვადებსა და საერთოდ, მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს. ხალხი კი, ძირითადად, კატეგორიულია ხელისუფლების ხელისუფლობის გამო, იმიტომ, რომ **არავინ ინტერესდება რა ბედი ეწიათ სამუშაოდან გაყრილ ადამიანებს; რომ ბიზნესის დაწყება არ შეგიძლია, თუ ხელისუფლების წარმომადგენელი ან მისი ნათესავი წილში არ ჩაისვი; რომ ცდილობენ გლეხები გადააქციონ მოჯამაგირეებად მათსავე მიწაზე; რომ ნარკოტიკს პირდაპირ მაგიდაზე დაგიდებენ და მამაზეციერის გარდა ვერავის დაუმტკიცებ, რომ ის შენი არ არის; რომ ერთი ლაწირაკი ნაციონალი მეტად ფასობს, ვიდრე დამსახურებული მეცნიერი ან ცნობილი მწერალი; რომ სამუშაოზე მოსაწყობად მხოლოდ ნაციონალობა და მონური მორჩილება არის საჭირო; რომ დღედამ შიშში უნდა იყო შენი სახლის, კარ-მიდამოს, შვილების, ახლობლების გამო; რომ ნებისმიერ ჩინოვნიკს შეუძლია გაგსრისოს ან ღირსება შეგილახოს ისე, რომ ამაზე პასუხს არავინ მოსთხოვს; რომ წაგართვან ყველაზე მთავარი – არჩევანის უფლება, რომ აშკარად მიმდინარეობს ვითომდა ფარული შეტევა მართლმადიდებლობაზე; რომ გაგიყიდეს შენი მიწა-წყალი ისე, რომ არ შეგეკითხნენ; რომ პრივატიზაციის სახელით ქვეყანას მომავალს უყიდიან; რომ უზომოა ხელისუფალთა სიხარბე; რომ უსაზღვროა ძალოვანთა თავნებობა; რომ სასამართალს ვერსად იპოვი; რომ შენს ქვეყანაში არ დაგედგომება; რომ ცდილობენ ახალგაზრდა თაობის გამოდებილებას; რომ ახალგაზრდების 70 პროცენტს უცხოეთში უნდა ცხოვრება; რომ შენს ქვეყანაში აღარ დაგედგომება;** რომ... ძალიან ბევრი რომის ჩამოთვლა შეიძლება, რასაც ალბათ მთელი საგაზეთო ფართი არ ეყოფა.

ხელისუფლება კი, რომელმაც საქართველოს ლამის მთელი ქონება რუსებს მიჰყიდა ცალობით თუ ბითუმად, სამწუხაროდ, ერთადერთი არგუმენტილა აქვს – თუ მის წინააღმდეგ რამეს იტყვი, რუსეთის აგენტად გაცხადებენ. გუშინდელი მიტინგის შემხვედვარე, რუსეთს საქართველოში მეტისმეტად ბევრი აგენტი ჰყოლია, იმდენად ბევრი, რომ კაცი დაფიქრდება, ყველა ერთად ხომ არ დაგვეჭირა?

ხელისუფალთა სანუკვარი ოცნებაც ხომ ეს არის:

**გიორგი ჩოჩიშვილი**

# სპორტი

● ჩვენი სპორტსმენები გამარჯვების გზით სიარულს განაგრძობენ. ამას წინათ სამმა კარატისტმა ინგლისის ღია ჩემპიონატზე მოსინჯა ძალები ლონდონში



## ◎ ორბიტაზე

### ელვისებური ტრაგედია



**ეს სამწუხარო ინფორმაცია იტალიიდან მოვიდა. ხუთშაბათს B სერიაში მოთამაშე „ლეჩეს“ კლუბის თანამშრომელი ანტონიო დე ჯიორჯი გასახდელისკენ მიდიოდა, როცა მეხი დაეცა, ის ადგილზე გარდაიცვალა.**

ჯიორჯიოს გარდა, დაშავდნენ მწვრთნელი ჯუზეპე პაპადოპულო და სპორტული დირექტორი ჯუიდო ანგელოცი, თუმცა მათი სიცოცხლე საფრთხეში არაა.

ეს ფეხბურთის ისტორიაში პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ბუნება ფეხბურთის საქმეში ერევა.

შარშან ვარჯიშის დროს მეხი დაეცა თურქული „ალანიასპორის“ ფეხბურთის მინდორს. ხუთი ტრავმირებული ფეხბურთელი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

უფრო ადრე დანიაში „ულფბორგისა“ და „მააბიერგის“ შეხვედრის დროს მეხის დაცემამ იმსხვერპლა 17 წლის ფეხბურთელი, 9 მოთამაშე კი მეტ-ნაკლებად დაშავდა.

### 100 წლის პლანერისტი ბებია



**ბრიტანელმა ბებიამ პეგი მაკალაინიმ თავისი საუკუნოვანი სიცოცხლის იუბილე აღნიშნა, როგორც მსოფლიოს უხუცესმა პარაპლანერისტმა. ის ორადგილიან პარაპლანით გამოცდილ 34 წლის პილოტთან ოზგერ გავაზანთან ერთად 850-მეტრიან სიმაღლიდან გაფრინდა, შემდეგ კი რბილად დაეშვა მიწაზე.**

წარმატებული გაფრენისა და შამპანურის ბათქუნის შემდეგ, ბებიამ თავის გეგმებზეც ილაპარაკა: „მე ვფიქრობ, ამ სასიამოვნო გაფრენის გამეორებას 105 წლის თავზე“.

პეგი სამი წლის წინათ ჩავიდა ბრიტანეთში, რათა „ახალი ცხოვრება დაეწყო“. 20 წლის წინათ, როცა 80 წლის იყო, ის ბაგირით ხტებოდა სამეფო კლუბის პარაშუტისტებთან ერთად.

„ მას ვერაფერი შეაჩერებს“! — ამბობს ბებოს ქალიშვილი — ელისაბედ ფორსტი, რომელსაც ძალზე ეშინია სიმაღლისა და მოხუცის ნახტომს უშიშარი ადგილიდან უყურებდა.

თუმცა ბებია ცუდად ხედავს, მაგრამ რეკორდი მაინც წაართვა 95 წლის დანიელ ქალბატონს.

## ◎ კალათბურთი

# ეს ევროლიგაა

**ორი ტურის შემდეგ ევროლიგაში 6 კლუბი დარჩა, რომელიც უდანაკარგოდ ასპარეზობს. მათ შორისაა ბერძნული დუეტი „პანათინაიკოსისა“ და „არისის“ სახით, თუმცა შემდეგ ეტაპზე ისინი აუცილებლად გავლენო, ჯერჯერობით ვერავინ იტყვის — ბრძოლა თანდათან მწვავდება და მრავალ საინტერესოს გვპირდება. გაუწყებთ ამ დღეებში გამართული მორიგი რაუნდის შედეგებს:**



**„ა“ ჯგუფი.** ცსკა —„მონტეპასკი“ 74:70, „ჟალგირისი“ — „პროკომი“ 82:72, „ოლიმპია“ —„ოლიმპიაკოსი“ 87:78, „ტაუ გრესი“ —„ვირტუსი“ 98:71.

ცსკა — 2, „მონტეპასკი“, „ტაუგრესი“, „ჟალგირისი“, „ოლიმპიაკოსი“, „ოლიმპია“, „ვირტუსი“ —1-1, „პროკომი“ — 0 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** „უნიკახა“ — „ციბონა“ 102:64, „ეფეს პილსენი“ —„არმანი“ 80:70, „ლე მანი“ —„არისი“ 66:69, „რიტასი“ — „მაკაბი“ 92:74.

„რიტასი“, „არისი“ — 2-2, „უნიკახა“, „ეფეს პილსენი“, „მაკაბი“, „ციბონა“ — 1-1, „ლე მანი“, „არმანი“ — 0-0 მოგება.

**„გ“ჯგუფი**. „რეალი“ —„ვირტუსი“ 89:83, „პანათინაიკოსი“ — „ბროზე“ 66:61, „ბარსელონა“ —„ფენერბახჩე“ 82:67, „რუანი“ —„პარტიზანი“ 87:88.

„რეალი“, „პანათინაიკოსი“, „პარტიზანი“ — 2-2, „ბარსელონა“, „რუანი“ — 1-1, „ბროზე“, „ვირტუსი“, „ფენერბახჩე“ — 0-0 მოგება.

## ◎ კარატე

# „ოქროც“, „ვერცხლიც“ და „ბრინჯაოც“

**საქართველოს კარატისტებმა წლეულს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ჩვენი სპორტსმენები გამარჯვების გზით სიარულს განაგრძობენ. ამას წინათ სამმა კარატისტმა ინგლისის ღია ჩემპიონატზე მოსინჯა ძალები ლონდონში.** ღირსეულად იასპარეზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ლევან გორელაშვილმა (+75 კგ.ძ, რომელმაც ზედიზედ ექვს მეტოქეს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ ლევანმა წლეულს ესპანეთში WKF-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, იტალიაში ევროპის ჩემპიონატზე „ვერცხლი“ ხვდა, ხოლო იაპონიაში WSKF-ის ვერსიით IV ადგილზე გავიდა.



ინგლისის ტურნირზე მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა დავით ტყეშუჩავამ (-70 კგ.ძ, რომელიც მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა ოთარ ვადაჭკორია (70 კგ.ძ, ამ ახალგაზრდა სპორტსმენმა ამას წინათ ინგლისშივე თანატოლთა საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა.

გუნდურ შეჯიბრებაშიც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ბიჭები. მათ სამ მეტოქეს სძლიეს და მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ მასპინძლებთან. გადამწყვეტი პაექრობის წინ ვადაჭკორიას ტრავმა რომ არა, ვინ იცის, მთავარი პრიზი ვის დარჩებოდა.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: ლევან გორელაშვილი (მარჯვნივ) დაჯილდოების შემდეგ; ორთაბრძოლის მომენტი.**



## ◎ ჭადრაკი

### დღეს ლიდერებს დაუპირისპირდებიან

**კრეტაზე გრძელდება მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. საგრძნობლად გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა საქართველოს ქალთა გუნდმა.** სტარტზე ლიტველებთან მოულოდნელი წაგების შემდეგ ჩვენებმა ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოიპოვეს და 8 ქულით ლიდერთა ჯგუფში არიან. მეხუთე ტურში ქართველმა დიდოსტატებმა საბერძნეთის პირველ გუნდს სძლიეს 3:1 (მაია ჩიბურდანიძემ და ნანა ძაგნიძემ, შესაბამისად, ელენა დემბო და ეკატერინა მაკროპულო დაამარცხეს, ხოლო ნინო ხურციძე და მაია ლომინეიშვილი ანა-მარია ბოცარისა და ეკატერინა ფახიროვას დაუზავდნენძ.



ჩემპიონატზე 9 ქულით პოლონელები დაწინაურდნენ. თითო ქულით ნაკლები აქვთ ქართველებს, რუსებსა და სლოვენიელებს. დღეს მე-6 ტურში ჩვენები ლიდერებს დაუპირისპირდებიან.

გამარჯვებას მიაღწია ვაჟთა ნაკრებმა, რომელმაც ფინელებთან ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ ბელგიას მოუგო 4:0. ქართველ დიდოსტატებს ახლა 5 ქულით მე-17 ადგილი უკავიათ. 10 ქულით რუსები მეწინავეობენ.

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

## ◎ ამბობენ




# რონალდინიო— „ჩელსიში“?

**ძალზე გაიზარდა იმის შანსი, რომ ბრაზილიელი რონალდინიო „ბარსელონას“ შეიცვლის „ჩელსიზე“**. ეს მას შემდეგ გახდა აშკარა, როცა „მილანმა“, რომელიც ბრაზილიელის ყიდვას აპირებდა, განაცხადა, რომ ნახევარმცველის შეძენას ამჯობინებს ისეთი თავდამსხმელის ყიდვას, რომელიც წარუძღვება „მილანის“ შეტევებს, რადგან არც რონალდო, არც ფილიპო ინძაგი და არც ალბერტო ჯილარდინო ახლა ფორმაში არ არიან.

ასე რომ, „ჩელსი“ ერთადერთ კლუბად დარჩა, ვინც რონალდინიოზე პრეტენზიას აცხადებს. „ბარსელონა“ მას 43 მილიონ გირვანქად აფასებს. აბრამოვიჩი კი, დიდი ხანია, მის შეძენას უმიზნებს.

● თბილისში თავის კუთვნილს ყველა იღებდა, ერთნი ნაკლებს, მეორენი — მეტს. მაგრამ ყველას ჰყოფნიდა ზღაპრული ძლვენი — სიკეთე, სილამაზე, სიყვარული ნებისმიერი ეროვნების ადამიანისადმი



◎ მადლიერება

# ჩერქეზის სიყვარული

**ცნობილ ჩერქეზ მხატვარს თეუჩეჟ ყატს, როცა ახლახან საქართველოს საზღვარი გადმოულახავს, თურმე ჩაუმუხლავს და ქართული მიწისთვის უკოცნია. „ჩვენი ადათ-წესების მიხედვით, მამაკაცს ცრემლის გამოჩენის უფლება არა აქვს, მაგრამ, როდესაც საზღვარი გადმოვკვეთე, თავი ველარ შევიკავე და ავტირდი, საქართველოში ხომ ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წლები მაქვს გატარებული, — ამბობს იგი.**





მხატვრის ამ უბედნიერეს წლებს მოუცავს მისი სტუდენტობა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ურთიერთობა ქართველ პედაგოგებთან, მეგობრებთან, დაოსტატება ცნობილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის შემოქმედებით სახელოსნოში. ყოველივე ეს თეუჩეჟ ყატს დიდად ეამაყება და იმ წლების მანძილზეც კი რაც მშობლიურ ადიღეში ცხოვრობდა, საქართველოს მიმართ მადლიერების გრძნობა არ შენელებია.

თეუჩეჟ ყატი დღეს არა მარტო მხატვარი, არამედ მწერალია და ჟურნალისტიც არის. იგი წარმატებით მუშაობს გრაფიკასა და ფერწერაში — მოწყობილი აქვს 18 პერსონალური გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მონაწილეობს საერთაშორისო პლენერებში. ის, რომ ხელოვანი ქართულ სინამდვილეს კარგად იცნობდა, ეს აისახა მის ტილოებზეც, რომლებშიც ქართული თემატიკაც ადიღეურის გვერდით დომინირებს.

ბოლო ათი წლის მანძილზე ხელოვანმა ქართველი კლასიკოსების, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა თემებზე შექმნა მთელი სერიები, რითაც მან გამოხატა თავისი სიყვარული და პატივისცემა ქართველი ერისა და საქართველოს მიმართ.

ახლახან ამ სერიებიდან 100-მდე ნამუშევარი თეუჩეჟ ყატმა საქართველოში ჩამოიტანა და საქართველოს აჩუქა. ეს ნამუშევრები დღეს გამოფენილია თბილისის სამხატვრო აკადემიის საექსპოზიციო დარბაზში: გამოფენის გახსნაზე თავი მოიყარეს მხატვრის მეგობრებმა, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მისი ხელოვნების დამფასებლებმა.



— ამ უაღრესად მაღალი დონის გრაფიკულ ნამუშევრებში კარგად ჩანს, თუ როგორ უყვარს თეუჩეჟს ქართული ლიტერატურა, მის ნამუშევრებში იგრძნობა ჩვენი სკოლა. იგი კულტურის საუკეთესო ელჩია კავკასიაში, ქართული იდეების გამტარებელია და მიხარია, რომ ჩვენი აკადემია აგროვებს თავის შვილებს, — აღნიშნა გამოფენის გახსნისას სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ.

მეგობართა მილოცვებს მხატვარმა თავისი გულწრფელი და ემოციური გამოსვლა და მოგონებები შეაგება. ეს მოვლენა, დიდი მნიშვნელობის კულტურულ მოვლენად შეაფასეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ, ნიკო ჯავახიშვილმა, მიხეილ ქურდიანმა, ვაჟა შენგელიამ, მხატვარმა მანაბა მაგომედოვამ, თამარ უჯუხუმ...

მარტო ამ ფაქტით არ გამოხატა თეუჩეჟ ყატმა საქართველოს სიყვარული. 2002 წელს მან მაიკოპში გამოსცა წიგნი, რომელიც მთლიანად საქართველოს ეხება. იგი ასახავს მისი სტუდენტობისდროინდელი თბილისის ყოფას, იგონებს თავისი ქართველი მასწავლებლების ყურადღებასა და სითბოს. წიგნში ავტორმა გამოხატა მადლიერება ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მხარში ამოუდგა დამწყებ მხატვარს შემოქმედების ფართო გზაზე.

წიგნს „ჩერქეზის საქართველო“ ჰქვია და იგი რუსულიდან ქართულად თარგმნეს თეიმურაზ გვანცელაძემ და მანანა ტაბიძემ. ამ წიგნის პრეზენტაციაც გამოფენის გახსნაზე გაიმართა.

„გადის წლები და თვალწინ ცხადად იხატება თბილისური ცხოვრების სურათები, ჩემი მეგობრები, ჩემი პედაგოგები, რაც უფრო ვიტვირთები ცხოვრებისეული გამოცდილებით, მით უფრო მკაფიოდ ვაცნობიერებ და ვაფასებ საქართველოში გატარებული წლების მომხიბვლელობასა და განუმეორებლობას.

თბილისში თავის კუთვნილს ყველა იღებდა, ერთნი ნაკლებს, მეორენი — მეტს. მაგრამ ყველას ჰყოფნიდა ზღაპრული ძლვენი — სიკეთე, სილამაზე, სიყვარული ნებისმიერი ეროვნების ადამიანისადმი, მისი ენის, კულტურის, ტრადიციების მიმართ პატივისცემაა, — ამბობს ავტორი.

იმათ, ვისაც აინტერესებს თუ როგორ გააცოცხლა ჩერქეზმა მხატვარმა ქართული ლიტერატურული გმირები და ყოფა ტილოებზე, შეუძლიათ ეწვიონ გამოფენას, რომელიც ერთ კვირას გასტანს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**სურათებზე: თეუჩეჟ ყატი და მისი ნამუშევრები.**

◎ კონკურსი

# „გრაციამ და ფანტაზიამ“ გამარჯვებული გამოავლინა



**დიზაინერმა ლალი გელაშვილმა და მისმა თეატრალურმა მოდის სახლმა „გრაცია და ფანტაზია“ შოუბიზნესის მოყვარულებს, და არა მარტო მათ, მორიგი საინტერესო ლამაზი საღამო გაუმართა — ტრადიციადქცეულ კონკურსს (მეექვსედ იმართება) მის „ამიერკავკასია — 2007“-ს და ამასთანავე, ახალგაზრდა დიზაინერთა კოლექტივების ჩვენებას, ამჯერად, კლუბ „ტრიუმფის“ სივრცე დაეთმო.**

სილამაზის ამ კონკურსში, კასტინგის შემდეგ, თორმეტი ფინალისტი მონაწილეობდა, რომელთა შორის გამარჯვებულის გამოვლენა კომპეტენტურმა ჟიურიმ — არქიტექტორი თამაზ წივწივაძე, ფსიქოლოგი თამარ ჟუჟუნაძე, ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია, ბიზნესმენი გიორგი უხურგუნაშვილი, პროდიუსერი მანანა სეფიაშვილი, თეატრალური უნივერსიტეტის პედაგოგი ნატა ჩაჩავა და მის „ელეგანტურობა-2005“ თამარ კომიაშვილი — იკისრა.

შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისა და ტრადიციული ხელოვნების ფაკულტეტის, სანახაობის მხატვრული გაფორმების სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტმა, ნატა ჩაჩავას ხელმძღვანელობით, ქართულ, კერძოდ, აჭარულ, ხევსურულ, მთიულურ და თუშურ მოტივებზე შექმნილი ქალის ულამაზესი კოლექცია წარმოადგინეს.

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოდელიერებისა და დიზაინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტებმა კი, დიზაინერ ლალი გელაშვილის ხელმძღვანელობით, რეტროს სტილის კოსტიუმები უჩვენეს მაყურებელს, კოლექტივის კაბები და რეტრო-აქსესუარები სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის ლანა ბაბაიანს და ალვინა აგაჯანოვას ეკუთვნოდა, ხოლო დიზაინერებმა ნანა და ნინო მეძულაშვილებმა საპატარძლო კაბები წარმოადგინეს.





საღამოს ბოლოს ხუთ ნომინაციაში გამარჯვებულები თანდათან გამოიკვეთა: ვიცე მისი — ქეთევან გოგოლაძე (თსუ-ს სტუდენტი), მის გრაცია — ნატა ბენდელიანი (სტუდენტი, „ერისიონის“ მოცეკვავე), მის მოდელი — თამუნა აფციაური (სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის სტუდენტი), მის მაყურებლის სიმპატია — ანა ზაუტაშვილი (სკოლის მოსწავლე) და მის „ამიერკავკასია — 2007“ — ქეთევან ქადაგიშვილი (მცირე აკადემიის სტუდენტი). აღსანიშნავია, რომ საღამოს კაბები, რომლებიც კონკურსანტებს ამშვენებდათ, დიზაინერებმა მარი და თამუნა ნაჩხატაშვილებმა შექმნეს.

მის „ამიერკავკასია — 2007“-ის საბოლოო კონკურსი, დეკემბრის ბოლოს, ბაქოში გაიმართება და მასში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფინალისტები მიიღებენ მონაწილეობას.

**ლელა დონაძე**

**სურათზე: საქართველოს ფინალისტი, მის „ამიერკავკასია — 2007“ — ქეთევან ქადაგიშვილი; ნომინაციებში გამარჯვებულებს აჯილდოვებს ლალი გელაშვილი.**

**ნუკრი ქიოშვილის ფოტო.**

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

● ჩვენი ძირითადი მოთხოვნა მთავრობის მშვიდობიანი გზით შეცვლაა. აქციები შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს, ვინაიდან გვეეჭვება პრეზიდენტი დიალოგზე წამოვიდეს, მაგრამ იქამდე არ წავალთ, სანამ შედეგს არ მივაღწევთ



◎ მომისმინეთ!

# ბატონობა ისწავლეთ, მართვა კი – ვერა!

*„თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი,*
*თქვენ გინდათ გახდეს მილიარდერი,*
*მე კი გირჩევდით გზას უნაპიროს,*
*ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“.*
*გალაკტიონ ტაბიძე*

**ტრაბახობთ, ჰყიდით და გგონიათ, რაღაცას აკეთებთ ქვეყნისთვის. სინამდვილეში ხალხის გაკეთებულს ითვისებთ, ძალით აღმართს ხნავთ, დაბეჩავებულ სიმართლეს უსამართლობით ახშობთ, სხვის გარჯას მალავთ, თავისას – ალზევებთ, თქვენით ალქაჯნი ხარობენ, კეთილნი გიმზერენ წყენით. არ ხართ მოსაგონარი ძებით, რადგან ძროხებივით ძლებით, საკუთარ ჯამს ჩასცქერით, სხვისაში არ გსურთ ჩახედვა და ამიტომ საქვეყნოდ არასდროს გამოდგებით. თავისთვის ცოცხლობთ მცენარედ, ხორცს ალაღებთ, სულს ითრგუნავთ, კარგის გარჯას გაიგებთ, გყწინთ და შურით ივსებით:**

**„უქმად ჩამაჰქლევთ სიცოცხლეს, უქმად საფლავში სწვებითა, დაჰკარგავთ საააქაოსა ვერც საიქიოს სწვდებითა, არ იცით დარჩნდით რისადა ან რაისთვისა ჰკვდებითა“ (ვაჟაძ.**

არ იცით მშობლიური არაფერი, ყველაზე მეტად კი – დედაენა; არ იცნობთ მის წესებს, კანონებს, განსაზღვრებებსა და ტერმინებს. არც ერთი სიტყვის ცნება არ გესმით. ამიტომ მიიჩნევთ ლევან ბერძენიშვილის სიტყვას „წულოვანი“ მაია ნადირაძის სალანძღავად წარმოთქმულს. სინამდვილეში ეს ტერმინი სწორად ასახავს მაიას მოქმედებას სახელმწიფოს „მასშტაბით“. თქვენ სიტყვის ცნებებს ვერ იგებთ (ზემოთაც გითხარითძ. ცნება არის აზრი საგანზე, რომელიც განხილულია მისი არსებითი ნიშნებით. არსებითი ნიშანი საგანში არის მთავარი ნიშანი, დანარჩენი კი არაარსებითია. მაგალითად, ადამიანის მთავარი ნიშნებია **აზროვნება და მეტყველება.** სხვა ნაწილები – ტან-ფეხი, თვალები, ყურები და ა. შ. – არა არსებითი.

ქართულმა ენამ, ყველა სხვა ენებისგან განსხვავებით, ბუნებაში არსებული ყველა სულიერისა და უსულო საგნისგან ადამიანი გამოარჩია „ვინ“ კითხვით და ამით აამაღლა გონიერი და მეტყველი არსება ყველა სხვა არსებული საგნებისგან. ეს ინდოევროპულმა ენებმა ვერ შეძლეს.

„ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელების სწავლას I-II კლასებში ვამთავრებთ და 6-7 წლის ბავშვები კარგად არჩევენ ამ კითხვაზე სიტყვათა ცნებებს, მაგრამ თქვენ – ვერ ამჩნევთ! „ქართველების“ მაგივრად გვიწოდებთ – „ქართულებს“ მაგალითები: „ქართული საზოგადოება, ქართული ინტელიგენცია, ქართული ხალხი, ქართული დელეგაცია, ქართული ჯარისკაცი, ქართული ბიზნესმენები, ქართული მოსამართლენი და სხვა. ამ გამოთქმების ავტორები არიან: მ. სააკაშვილი, ნ. ბურჯანაძე, მ. მაჭავარიანი, ლ. ჭიპაშვილი, გ. უგულავა, გ. არველაძე და სხვ. რადგან პარლამენტმა და მთავრობამ ენა, მამული და სარწმუნოება ფეხებზე დაიკიდა, ყურადღება არ ექცევა მთავრობის მიერ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას, ამიტომ გათავხედდა ყველა ჟურნალისტი, ტელე-არხებისა და „შოუების“ წამყვანები და უმოწყალოდ ჯიჯგნიან „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“.

იცოდეთ! ჩვენ, ქართველი ერი, ქართველი ადამიანები, ქართველთა ჯარი, ქართველი ბიზნესმენები ვართ, „ქართველები“ და არა „ქართულები“, ამიტომ, სადაც ქართველი ადამიანია ნაგულისხმევი, უნდა ვთქვათ „ქართველი“ და არა – „ქართული“.

ახლა დააკვირდით გამოთქმებს: მაია ნადირაძე „წულოვან როლში“ უფრო დანაშაულია თუ „ქართული საზოგადოება“?

**„ენას ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხო“ (ილიაძ.**

„ენა-ტკბილი, ენა-მწარე, ენა-მოკლე, ენა-გრძელი, ენა-სევდისუკუმყრელი, ენა-მკურნალ სნეულთათვის, ენა-მთელთა ლახვრის მგვრელი, ენა-სულისსულთმობრძავთა, ენა-ზოგჯერ სისხლის მღვრელი“.

ადამიანები იმიტომ კი არ არიან განათლებული, რომ უცხო ენა იციან, არამედ – მშობლიური; შექსპირმა ქართული არ იცოდა და რუსთაველმა ინგლისური. სხვათა ენის ცოდნის გამო ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭება სიბრიყვეა.

არავითარი პრივილეგია არც ერთ ენას, საქართველოში მშობლიურია მთავარი!

თქვენ უმოწყალოდ თელავთ ხალხის ზნეობას, თქვენს სიტყვასა და საქმეს შორის, სამწუხაროდ, დიდი ზღვარია, ბატონობა იოლად ისწავლეთ, მართვა კი – ვერა.

რაც ადამიანს სჭირდება, იმაზე მეტი თუ არ მიეცით, მხეცად გადაიქცევა და ველარაფერი შეაჩერებს. ხალხის ზნე რომ ისწავლო, ჯერ მისი ენა უნდა შეისწავლო, სხეულს ვერ განკურნავთ, თუ სული არ განკურნეთ, ქვეყნის ურყევი საძირკველი სამართლიანობაა!

ზნეობა გაყიდული გაქვთ და ნუ ჰყიდით ქართველი ხალხის წინაპრების დიდი შრომითა და ოფლით მოპოვებულ და მოვლილ დოვლათს: ტყეს, ველს, წყალს, ტაძრებს, მიწას და ქართულ ცნობიერებას...

**მიხეილ რეხვიაშვილი,**
**პროფესორი.**

◎ სარფიდან წითელ ხიდამდე დაძრული ქვეყანა

# „ჩვენ ვაუჩერებსა და ფქვილზე არ ვიყიდებით!“

**(მეორე გვერდიდან)**

ხელისუფლება დიალოგზე აქამდე უნდა გამოსულიყო. ის ჩვენ მოვიყვანეთ. წვიმიან და ქარიან დღეებში აქ ვალამებდით და ვათენებდით, თუმცა პრეზიდენტმა ვერ გაამართლა. მხოლოდ თინეიჯერებთან და ბავშვებთან შეხვედრა დიალოგს არ ნიშნავს!

**ქუთაისი:** ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ჩამოღწევა, მოვახერხეთ. წუხანდელი ღამე პარლამენტთან გავათენეთ. ჩვენი უპირველესი მოთხოვნა სოციალური პრობლემების გაუმჯობესებაა. მთავრობა უნდა შეიცვალოს. რევოლუციის მომხრენი არ ვართ და ვიმედოვნებთ, არც გახდება საჭირო. სანამ კონკრეტული მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, წასვლას არ ვაპირებთ.

**თეთრი წყარო:** თბილისში ჩამოსასვლელად წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ჩვენ დილიდან აქ ვდგავართ და საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურ ფარგლებში ჩატარებას ვითხოვთ. არჩევნებს კი, რაც არ უნდა ეცადოს ხელისუფლება, ვერ გააყალბებს. ვიმედოვნებთ რომ ეს ყველაფერი დემოკრატიულ ფარგლებში მოხდება, ხელისუფლებას ჭკუა ეყოფა და ჩვენ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.



**ბათუმი:** ძალიან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად დედაქალაქამდე ჩამოვაღწიეთ. განსაკუთრებული წინააღმდეგობა მახინჯაურთან შეგვხვდა. გვირაბთან არ გვიშვებდნენ. პატრულმა მანქანების გასაღებები წაგვართვა. იყო დარბევა. ბევრს საბურავი დაეშვა და შეკეთება გზაშივე, გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლეს. გუშინ დილით გამოსულებმა თბილისში 11 საათამდე ვერ ჩამოვაღწიეთ.

ჩვენი ძირითადი მოთხოვნა მთავრობის მშვიდობიანი გზით შეცვლაა. აქციები შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს, ვინაიდან გვეეჭვება პრეზიდენტი დიალოგზე წამოვიდეს, მაგრამ იქამდე არ წავალთ, სანამ შედეგს არ მივაღწევთ.

მიტინგზე შეკრებილთ შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც შექმნილ ვითარებაში არა უშუალოდ პრეზიდენტს, არამედ მის გარემოცვას ადანაშაულებდნენ.

**სოფიო გოგლიძე**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ძველი, ერთგული მეგობარი და ღირსეული ავტორი, პროფესორი
შალერ ბენია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ყოფილ მოსამართლე ნანა კლარჯეიშვილს მამის
პავლე კლარჯეიშვილის
გარდაცვალების გამო

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ პოლიტრეპრესირებული, ეკონომიურად უკიდურესად მიჭირს. პენსიას ვიღებ თვეში 50 ლარის ოდენობით. სიცოცხლე ტანჯვაში გავატარე, გადასახლებიდან დავბრუნდი და კიდევ 30 წლის სტაჟი დავაგროვე. ნუთუ 50 ლარზე მეტი პენსია ვერ დავიმსახურე?**

**ენვერ გოგიჩაიშვილი**

**პასუხი:** კანონის შესაბამისად, პენსია, როგორც პოლიტრეპრესირებულს, თვეში 50 ლარის ოდენობით, სწორად გაქვთ დანიშნული შრომის პენსია, რომ დაგენიშნოთ, იმაზე ნაკლები იქნება, რასაც ამჟამად იღებთ ერთდროულად ორი სახის პენსიის მიღებას კი მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს.

* * *

**კითხვა: ვინაიდან ამ საკითხზე ჩვენს დაწესებულებაში სწორი პასუხი ვერ მოგვცეს. გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონის თანახმად, რომელი გაფიცვა ჩაითვლება უკანონოდ?**

**ბახვა შენგელია**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უკანონოდ ჩაითვლება იმ დასაქმებულთა გაფიცვა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებული იყვნენ დავის წარმოშობამდე.



* * *

**კითხვა: სამსახურში ჩვენთვის მიუღებელი პირობების გამო, გადავწყვიტეთ, მოვაწყოთ გაფიცვა. ვმუშაობ ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით. გვეუბნებიან, გაიფიცეთ რამდენიც გინდათ, მაინც უკანონოდ ჩაითვლებაო. მართლა ასეა?**

**მკითხველი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, თუ გაფიცვის უფლება წარმოიშვა ვადიანი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, იგი უკანონოდ ჩაითვლება.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

◎ სულიერება

# დიმიტრის შაბათი



**3 ნოემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო და მათ შორის საქართველოს სამოციქულო ეკლესია(ცძ იხსენიებს სარწმუნოთა და სასოებით მიცვალებულ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს.**

დიმიტრის შაბათი, დიმიტრი დონელის (1389 წ.ძ დროიდან იღებს სათავეს.

...ცნობილია, რომ 1380 წელს ღირსმასერგორადონეჟელმა წმიდა მთავრის თანდასწრებით აღასრულა პანაშვიდი კულიკოვოს ბრძოლაში დაღუპული მეომრების სულის საოხად. ამგვარი პანაშვიდი შემდგომში ტრადიციად გახდა და თანდათან წინაპართა მოსახსენებელ დღედ იქცა.

დადგინდა, რომ მსახურება ყოველწლიურად უნდა აღესრულებინათ წმიდა დიმიტრი თესალონიკელის ხსენების დღის (8 ნოემბერიძ წინა შაბათს, სწორედ ამიტომ ეწოდა „დიმიტრის შაბათი“.

**გიული ლიპარტია**

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 211. შაბათი, 3 ნოემბერი, 2007 წელი.

● სახელმწიფო კანცელარიასთან გაიმართა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირ „სხივისა" და „9 აპრილის" საზოგადოების წარმომადგენლებმა




### ◉ აქცია

## 9 აპრილის მუზეუმის მიმართ ვანდალიზმი გრძელდება...




**სახელმწიფო კანცელარიასთან გაიმართა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირ „სხივისა" და „9 აპრილის" საზოგადოების წარმომადგენლებმა.**

დემონსტრანტებს ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები, რომლებზეც ქართულად და ინგლისურად ეწერა საქართველოს პრეზიდენტო, წაიკითხე გაზეთი „სხივი", „შეიქმნას 9 აპრილის მუზეუმის ფარული პრივატიზების შემსწავლელი კომისია!" – გამეფებული ძალადობისა და კორუფციის შედეგად ჩვენი კავშირი „სხივი" და 9 აპრილის მუზეუმი მეშვიდე წელია დევნილობაშია, – ამბობს ამ ორგანიზაციების ლიდერი თამაზ ბიბილური. – თავის დროზე ეს გარემოება კარგად გამოიყენეს „ვარდების რევოლუციონერებმა" თავის საარჩევნო პროპაგანდაში, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მიეცა...

ამ მდგომარეობით შეშფოთებული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების ხელმოწერით საქართველოს პრეზიდენტის სახელზე სახელმწიფო კანცელარიაში ჯერ კიდევ შარშან შეიტანეს მიმართვა. გავიდა ერთი წელი. და რა შეიცვალა? არაფერი... ძალადობა და რეპრესიები გრძელდება.

– დღეს ჩვენ განმეორებით შევიტანეთ იმ მიმართვის ტექსტი შესაბამის საგაზეთო პუბლიკაციებთან ერთად, – აცხადებენ აქციის მონაწილენი. – და ხელისუფლებისგან პასუხს მოვითხოვთ. ჩვენ ვუერთდებით საპროტესტო მოძრაობას და მოვუწოდებთ, პასუხი გაგვცეს, რათა შეწყდეს ვანდალიზმი საქართველოს უახლესი ისტორიის მიმართ.

**მურად ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**

### ◉ ინფორმაცია

**ჩვენმა ხელისუფლებამ თავისი ანტიხალხური, ცინიკური მოქმედებით რომ დრო აადუღა და მოთმინებადაკარგული ხალხი ბეზარს მიიყვანა, ამის ნათელი დასტური იყო ის თვალუწვდენელ სივრცეში გაბმული სინათლის ზოლი, რომელმაც პირველიდან ორი ნოემბრის ღამეს დასავლეთ საქართველოდან თბილისისკენ მომავალი მთელი გზა დაფარა. ეს „ფეხგადგმული" სრულიად საქართველოს კადრები გუშინ ევრონიუსმაც აჩვენა.**





**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.*

### ◉ ანეკდოტები

რუსეთიდან ყველა მოითხოვს დაუმუშავებელ ალმასებს, ხე-ტყეს, ნავთობს, გაზს, ქალებს...

* * *

– შენ ქალები გესიზმრებიან?



– მათ გამო ძილისთვის სადა მცალია?

* * *

– შალიკო, რას დალევ: შამპანურს, ლუდს, ღვინოს თუ არაყს?

– მაგ თანამიმდევრობით ყველაფერს.

* * *

კლიენტი რესტორანში ოფიციანტს შეკვეთას აძლევს:

– შემიწვით, თუ შეიძლება, ერბოკვერცხი, მაგრამ ერთ მხარეს მარილი უნდა აკლდეს, მეორე მხარე კი გადაამლაშეთ, ერთი მხარე კარგად შეწვით, მეორე კი – არა. როდესაც მომიტანთ, დამიყვირეთ „აჰა, ჩაცეცხლე!"

ოფიციანტის გაოცება რომ შეამჩნია, დაუმატა:

– იცით, მთელი თვე მივლინებაში ვარ. მინდა ერთხელ მაინც შინ ვიგრძნო თავი.

* * *

ოფიციანტი:

– ქალბატონო, თქვენი ქმარი მაგიდის ქვეშ რატომ შეძვრა?

– ეგ ქმარი არ არის. აგერ, ქმარი კარში დგას.

* * *

ერთ ქალს 10 ბავშვი ჰყავდა და ყველას ნიკა ერქვა.

– კი მაგრამ, როგორ არჩევ ერთმანეთისგან?

– ეკითხებიან მას.

– მამის სახელით!

* * *

ბიზნესი – ესაა თამაში, რომელსაც იგებს ის, ვინც უკეთესად იცის წესები, ხოლო აგებს ის, ვინც მათ ასრულებს!

### ◉ გვემრავლოს!

## გახარიებმა გაიხარეს!



**ჩვენმა მახარობელმა ჩაჩავას სახელობის პერინიტარული მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან გუშინ დილით გვაცნობა, ძაბული გახარიას მეოთხე შვილი შეეძინაო.**

– ჩვენ ერთ ოჯახად ვცხოვრობთ, დავეხმარებით ციალას, კახას, ოთარის და დათოს გაზრდაში, ჩვენი სიმდიდრეც ისინია, ასე ვთვლით მე და ჩემი მეუღლე, – დაუმატა ისიდორემ, ძაბული გახარიას მეოთხე შვილის ბაბუამ.

– მე ასე მწამს, ყველაფერი წარმავალია, ფულიც, ოქროც, თანამდებობაც, მდგომარეობაც – შვილები და შვილიშვილებია ერთადერთი, რომელიც საქართველოს სიყვარულით უნდა გავზარდოთ, მიხარია, რომ ჩემი ვაჟი უკვე მეოთხე შვილის მამა გახდა. ძაბული ძალზე მადლიერია გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო პერსონალის.

შვილის შეძენით სიხარული არ მოშლოდეთ გახარიების ოჯახს, ბავშვები ხომ არა მარტო მშობლის, ქვეყნის სიმდიდრეა.

**ნათელა ფაილოძე**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები (კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.